ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 27 ნოემბერი, 2019 №281 (8235) ფასი: 60 თეთრი

ბესიკ გაზდელიანს 2.000-ლარიანი ჯარიმა დაეკისრა



გვ.5

26 ნოემბრიდან

იაკობ გოგებაშვილი

საგანძური

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

„პარლამენტი სხდომებს მხოლოდ სპეცრაზმის დახმარებით გამართავს“

გვ.3

გიორგი ვაშაძე: „ვაშინგტონში ჩვენი საელჩოც დაუბოქლომებიათ“

„დეპუტატები პარლამენტში ვირთხებივით მიიპარებოდნენ“

ლევან ხაბეიშვილი: „კალაძემ რომ დამინახა, შეეშინდა და სხვა კარიდან გაიპარა“

გვ.3

„ხელისუფლება რომ სპეცრაზმით ელაპარაკება ხალხს, უკვე დამთავრებულია“

შალვა შავგულიძე: „ოცნება“ ქმნის დესტაბილიზაციას, რაზეც პასუხისმგებლობა მას ეკისრება“



გვ.2

„ისევ ორპოლუსიანი სურათის შექმნას ცდილობენ... ხალხზე ძალადობის გარდა, სხვა გზა არ დარჩა“

„ქართული ოცნება“ უკვე დამარცხდა“

„ირაკლი კობახიძეს პრობლემა აქვს განათლებასთან და შინაგან კულტურასთან“

სოსო ცინცაძე: „რა საჭირო იყო დილის 5 საათზე ახალგაზრდებისთვის წყლის ჭავლის მიშვერა?!“

გვ.3

ლევან ჩაჩუა: „ოპოზიციამ ქუჩაში ხალხი ვერ გამოიყვანა“

გვ.4

„სამართლიანი არჩევნების მტერი მაჟორიტარული სისტემა არ არის“

ISSN 1987-9385

2 გუბაზ სანიკიძე: „თუ ვინმეს სააკაშვილი არ მოგწონთ, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ შეშაპარია ბიძინა ივანიშვილი“

4 ანზორ წოწონავა: „რატომ უნდა ავირჩიოთ საქართველოს დეპუტატი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ხარჯზე?!“

5 აფხაზეთში სამმა სომეხმა გოგონამ 81 წლის ქალი დააყაჩაღა და სასტიკად აწამა

6 ალბანეთში ძლიერი, 6,4 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა 7 ადამიანი დაიღუპა

შალვა შავგულიძე: „ოცნება“ ქმნის დესტაბილიზაციას, რაზეც პასუხისმგებლობა მას ეკისრება“

„ისევ ორპოლუსიანი სურათის შექმნას ცდილობენ... ხალხზე ძალადობის გარდა, სხვა გზა არ დარჩა“

იაგო ნაცვლიშვილი

25 ნოემბერს პროპორციული საარჩევნო მოდელის ან ერთჯერადად ე.წ. გერმანული მოდელის მიღების მოთხოვნით ოპოზიციურმა სპექტრმა აქციების მეორე რაუნდი დაიწყო, რომელიც ასევე ითვალისწინებდა პარლამენტის პიკეტირებასა და დეპუტატების იქ არშეშვებას. 26 ნოემბრის გამთენიისას კი ხელისუფლებამ აქცია დაარბია. სპეცრაზმის თანხლებით დეპუტატები პარლამენტში შევიდნენ. ბიუროს სხდომიდან პარლამენტის თავმჯდომარემ საპარლამენტო ოპოზიციას საპარლამენტო საქმიანობაში ჩართვისკენ მოუწოდა.

ოპოზიცია კი შეთავაზებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ რეალურ ნაბიჯებს გადადგამს კრიზისის განსამუხტად, რაც იმას ნიშნავს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დაიწყოს მუშაობა გერმანული მოდელის მისაღებად, რასაც მმართველი პოლიტიკური გუნდი პრინციპულად ეწინააღმდეგება.

რას ნიშნავს თალაკვაძის შეთავაზება და როგორ აფასებს აქციის მონაწილეების დარბევას? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე **შალვა შავგულიძე** საუბრობს:

– ვნახეთ 26 ნოემბრის დილას განვითარებული მოვლენები აქციის მონაწილეების დარბევის სახით, ხომ არ გაგახსენდათ 7 ნოემბრის მოვლენები, იქიდან გამომდინარე, რომ მაშინაც დილით მოხდა მომიტინგეთა დარბევა?

– ალბათ აქცენტის გაკეთება იმაზე, რომ ეს დილით მოხდა თუ შუადღეს და ჰგავს თუ არა ეს 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებს, ალბათ ეს იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც არსი. რატომ ხდება, ის, რაც ხდება. ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება და საზოგადოებისთვისაც ეს არის მნიშვნელოვანი. ხდება ის, რომ ქართველი ხალხი ითხოვს სამართლიან არჩევნებს, ისევე, როგორც ოპოზიციური სპექტრი.

რატომ არის ახლა პროპორციული წესი უფრო სამართლიანი, ვიდრე შერეული სისტემა? იმიტომ, რომ არსებული წესი შესაძლებლობას იძლევა, რომ მაჟორიტარული სისტემის მანკიერად გამოყენებისას დროს, არასამართლიანად გადანაწილდეს მანდატები. მაშინ როდესაც, მმართველი ძალა იღებს ნაკლებ ხმას პროპორციულად, იმაზე გაცილებით მეტი მანდატი მიიღოს მაჟორიტარების ხარჯზე. ამის ნათელი მაგალითია 2016 წლის არჩევნები. 2016 წელს „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო 47%-ზე ცოტა მეტი, ხოლო მაჟორიტარული სისტემის გამოყენებით მათ მიიღეს პარლამენტში 80%-მდე.

– შედეგად მიიღო საკონსტიტუციო უმრავლესობა.

– დიახ. რა თქმა უნდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს სისტემა არ არის სამართლიანი. როდესაც ოპოზიციური სპექტრის სრულიად განსხვავებული გემოვნებისა და სრულიად განსხვავებული ორიენტაციის პარტიები – პრორუსული, პროდასავლური და ა. შ. ერთიანდება ამ იდეაზე, რომ თამაშის წესები იყოს სამართლიანი და პარლამენტში პარტიებმა შეიყვანონ იმ პროპორციით, რა პროპორციითაც მიიღეს არჩევნებში მხარდაჭერა ამომრჩევლისგან. ხელისუფლება კი ამაზე უარს ამბობს უღირსი ფორმით, როდესაც 20 ივნისის მღელვარებას ჯერ შეჰპირდა საზოგადოებას, ამიტომ ძალიან კარგად იციან, რომ ეს სამართლიანი მოთხოვნაა და ეს დააწყნარებდა ხალხს. ამის გამო ხალხმა დაიოკა ვნებათა ღელვა და 5 თვე ელოდნენ, რომ ხელისუფლება ამ დაპირებას კანონის სახით გააფორმებდა. 5 თვის შემდეგ კი ყველას გამოგვიცხადა, რომ რახან მუხტი აღარ არის, გადავიფიქრე და მოგატყუეთო. ამან გამოიყვანა რუსთაველზე ოპოზიციური სპექტრიც.

ამ პროცესში ოპოზიციურ პარტიებს სრული მხარდაჭერა აქვს არასამთავრობო სექტორისგან, ახალგაზრდების ჯგუფისგან, რომლებიც 20 ივნისიდან მოყოლებული სხვადასხვა ფორმატში, აგრძელებს პროტესტს. ასეთ დროს ხელისუფლებას ეკისრება პასუხისმგებლობა. ხელისუფლება საკუთარ ხალხს ეუბნება, რომ მე თქვენ არ მოგცემთ სამართლიანი არჩევნების ჩატარების უფლებას და მე ჩავატარებ იმ სისტემით, რომლითაც პარლამენტში მოვიპოვებ სრულ კონტროლსო.

თქვენ კითხვას რომ დავუბრუნდე, დარბევის ფორმებს რაც შეეხება, სამწუხაროდ, ამ ხელისუფლებას არ დარჩა სხვა, გარდა მოტყუებისა და ძალადობისა. ბოლო პერიოდში ჩვენ ვუყურებთ უღირს და უტიფარ მოტყუებას და შემდეგ საკუთარი მოქალაქეების წინაშე უხეში ძალის გამოყენებას.

– არჩილ თალაკვაძემ საპარლამენტო ოპოზიციას მოუწოდა საპარლამენტო საქმიანობის დაბრუნებისკენ და პოლიტიკური პროცესის იქ გადატანა. როგორ გაიგეთ თქვენ მისი ეს განცხადება?

– აქაც პასუხი იგივეა – ვინ გაიყვანა პროცესი ქუჩაში?! ხელისუფლება ატყუებს ყველას ერთად. დავიოკეთ ვნებათაღელვა და შეურაცხყოფა ყველამ ერთად 20 ივნისის ძალადობის შემდეგ. პარლამენტშიც მიდიოდა მუშაობა, სამუშაო ჯგუფიც შეიქმნა, საერთაშორისო და არასამთავრობო სექტორიც. ეს პროცესი მიდიოდა იქამდე, სანამ არ აღმოჩნდა, რომ 5 თვის თავზე ყველა მოგვატყუეს.

– ანუ, ამ რეალობაში დიალოგი გამორიცხულია?

– რა თქმა უნდა. ვინ შეწყვიტა ეს მოლაპარაკება? რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ. ახლა კი გვეუბნება, რომ რაღაცას დაგპირდებით, მერე მოგატყუებთ და ისეთ საარჩევნო სისტემას გავაკეთებ, როგორც მე მაწყობს, მაგრამ თქვენ შემოდით პარლამენტში, დასხედით გუგულებივით და მიეცით მსვლელობა ისეთი კანონის მიღებას, რომელიც ჩვენს მოქალაქეებს ართმევს სამართლიანი არჩევნების უფლებას და მე მტოვებს მუდმივად ხელისუფლებაში. ანუ დასხედით პარლამენტში ანტურაჟად, რათა ლამაზად გავაფორმო ის ცუდი საქციელი, რასაც ჩავდივარ, რათა ხელისუფლების უზურპაცია, ის ცუდი საქციელი არ გამოჩნდეს ისე აშკარად, რასაც ჩავდივარ. ვერც ერთი პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკური ძალა ვერ გააკეთებს ამას.

აქ ნიშანდობლივია ის, რომ ისეთი სტრატეგიულად განსხვავებული პოლიტიკური ძალები, როგორიც არის დასავლურ ინტეგრაციასა და ისევ რუსულ სივრცეში დაბრუნებას შორის, ასეთი განსხვავებული ძალებიც კი გაერთიანდნენ იმის გამო, რომ საარჩევნო სისტემა უნდა იყოს ნორმალური და რამდენ ხმასაც მიიღებს, იმ პროპორციით უნდა იყოს პოლიტიკური ძალა წარმოდგენილი პარლამენტში, ამ შემთხვევაში მმართველი პარტია.

– ხომ არ არის შეურაცხმყოფელი ის განცხადებები, რაც გვესმის უმრავლესობის წევრებისგან? მხედველობაში მაქვს ის, რომ ისევ „ნაციონალურ მოძრაობას“ უკავშირებენ, მაშინ როდესაც, ამდენი პარტია დგახართ ერთად, მათ შორის ისინიც, ვინც წლების განმავლობაში უპირისპირდებოდით წინა ხელისუფლებას?

– იცით რა? სიტყვა შეურაცხყოფას არ გამოვიყენებდი. იცით რატომ? იმიტომ, რომ ამ პოლიტიკური ძალის რაღაცა ხრიკები ვერავისთვის ვერ იქნება შეურაცხმყოფელი. იქიდან გამომდინარე, რომ არავითარი ფასი არ აქვს მათ ნათქვამს და მათ შეფასებებს. არავის არ აინტერესებს, ისინი რას, როგორ „მონათლავენ“.

მათი ეს ტაქტიკა მიმართულია იქითკენ, რომ ისევ ორპოლუსიანი სურათი შექმნან. ამის ხარჯზე არსებობს, სამწუხაროდ, „ქართული ოცნება“ მთელ ამ პერიოდში, აგერ უკვე ლამის 8 წელია. აი მე თუ არა, დაბრუნდება ნაციონალური მოძრაობა და დადგება სამართლიანობა და რაღაც, რაც მართლა უკვე ცუდად ახსოვს ჩვენს ხელისუფლებას. ხატავს ამ სურათს, რომ ვინც არ არის ჩემთან, ეს არის ნაციონალური მოძრაობა და ცდილობს ამით მოახდინოს საქართველოს მოქალაქეებზე გავლენა. ამ ტყუილსაც ყავლი გაუვიდა უკვე.

აღარ გაჭრის ასეთი იაფფასიანი ტყუილები ქართულ საზოგადოებაზე. თუ ხელისუფლება გონს არ მოეგება და არ გაითვალისწინებს არა თუ ხალხის ნებას, არამედ არ გაითვალისწინებს იმას, რომ სამართლის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის მართვა, ძალიან მძიმედ წაუვა საქმე. არ შეიძლება ეს ვერ გაითავისოს მმართველმა გუნდმა, რომ სამართალზე დგას სახელმწიფო. ამის შემადგენელია სამართლიანი საარჩევნო უფლება და თუ გადაწყვეტს, რომ თავის უსამართლობას სახელები დაარქვას, ამით არაფერი არ გამოვა. მათთვის უმჯობესია დაინახონ, რომ ვიდრე სამართლიანად არ მოიქცევიან და სამართლიანი არჩევანის უფლებას არ მისცემენ ხალხს, ისინი ქმნიან დესტაბილიზაციას და ვერ იქნება მშვიდობა ჩვენს ქვეყანაში, ამ ყველაფერზე კი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ ხელისუფლებას, რომელიც ასე უსამართლოდ იქცევა.

პატრიარქი: „სამწუხაროა, რომ მთავრობასა და ოპოზიციას შორის ურთიერთგაგება არ არის“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის განცხადებით, სამწუხარო ფაქტია, რომ მთავრობასა და ოპოზიციას შორის ურთიერთგაგება არ არის.

ამის შესახებ პატრიარქმა საქართველოში მომუშავე ელჩებთან შეხვედრაზე განაცხადა.

– ჩვენ ვცხოვრობთ რთულ დროს, როცა მრავალი პრობლემაა სახელმწიფოებსა და მათ ურთიერთობებში. მოგეხსენებათ, არაერთი პრობლემა აქვს საქართველოსაც. უპირველეს ყოვლისა კი ის, რომ ტერიტორიული მთლიანობაა დარღვეული.

20% – აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი – ჯერჯერობით არ არის ჩვენი კონტროლის ქვეშ. მე 11 წელი ვიყავი აფხაზეთის მიტროპოლიტი და აფხაზეთიდან ამირჩიეს საქართველოს პატრიარქად 42 წლის წინ. ბუნებრივია, ეს მხარე მეტად მტკივნეულია ჩემთვის.

სამწუხარო ფაქტია ისიც, რომ არ არის ურთიერთგაგება მთავრობასა და ოპოზიციას შორის. უპირველეს ყოვლისა ჩვენ უნდა ვისწავლოთ მოსმენა ერთმანეთისა. მოსმენით და ურთიერთგაგებით ჩვენ მივაღწევთ იმას, რაც სჭირდება ჩვენს ქვეყანას.

მე მადლობელი ვარ და საქართველო მადლობელია თქვენი დახმარებისა, თქვენი თანადგომისა, – განუცხადა პატრიარქმა ელჩებს.

შეხვედრაზე სიტყვით ასევე გამოვიდნენ ისრაელის, გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, საბერძნეთის, თურქეთის, უკრაინის, პოლონეთის და სხვა ქვეყნების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები.

– თქვენო უწმინდესობავ, თქვენი მესიჯი ძალიან მნიშვნელოვანია ამ რთული პერიოდისთვის. გეთანხმებით, რომ დაძაბული დროა, ამიტომ, როგორც თქვენ ბრძანეთ, ჩვენ ერთმანეთს უნდა მოვუსმინოთ. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა შეხვედრისთვის და გისურვებთ ჯანმრთელობასა და დიდ წარმატებებს, – განაცხადა ბრიტანეთის ელჩმა ჯასტინ მაკენზი სმითმა.

ღღეს პარლამენტის სხდომა არ გაიმართება

თალაკვაძის განმარტება

პარლამენტის პლენარული სესია ღღეს აღარ ჩატარდება. დეპუტატების გადაწყვეტილებით, სხდომა ხუთშაბათს, 28 ნოემბერს გაიმართება.

პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძის თქმით, საჩქარო საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები მიღებულია.

– ვინაიდან ძირითადი საკითხები, რომლებიც ღღის წესრიგით იყო გათვალისწინებული, ჩვენ ღღეს განვიხილეთ და კენჭისყრები ჩავატარეთ. დარჩენილია რამდენიმე საკითხი, ასევე მინისტრის საათი და კენჭისყრები, რომელიც უკავშირდება უკვე საკადრო გადაწყვეტილებებს, მაგრამ ეს არ არის იმდენად საჩქარო საკითხი, როგორიც იყო კომიტეტების საქმიანობის განახლებისთვის.

ღღის წესრიგში იყო ოპოზიციის მიერ ინიცირებული კანონპროექტები და მათი ინიციატივები. ვინაიდან ისინი სხდომას არ ესწრებიან, შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია, ხუთშაბათს დილით განვაახლოთ სხდომა, ანუ ხვალინდელი ღღე რეალურად საკითხების განხილვისთვის აღარ იქნება საჭირო, გთავაზობთ, თუ თქვენი მხარდაჭერაც იქნება ამაზე, რომ ხუთშაბათს დილიდან განვაახლოთ სხდომა, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ გუშინ, 26 ნოემბერს.

გუბაზ სანიკიძე: „თუ ვინმეს სააკაშვილი არ მოგწონთ, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ შეშაპარია ბიძინა ივანიშვილი“

– მიხეილ სააკაშვილის გარეშე ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების დემონტაჟი გამორიცხულია.

ამის შესახებ „გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გუბაზ სანიკიძემ რადიო „პალიტრის“ ეთერში, გადაცემა „შუადღის სტუდიაში“ განაცხადა.

მისივე თქმით, სააკაშვილმა ბევრი რამ დააშავა და ბევრიც გააკეთა.

– ის ხალხი მეძახის უპრინციპოს, რომელიც, როცა მე ჯალალედინს ვეძახდი სააკაშვილს, მაშინ სააკაშვილის მხარეს იყოს. ენები დაიმოკლონ და ღირსებაზე ლაპარაკს თავი დაანებონ.

უღირსობა რატომ იქნებოდა, იცით? მე რომ დამალულად მივსულიყავი. მე ღიად განვაცხადე. ძვირფასო ნაძირლებო, „ტროლებო“, იქნებ დაუკვირდეთ, როდესაც ასეთი დაპირისპირების შემდეგ ადამიანები მოახერხებენ, დასხდებიან სასაუბროდ, ეს უპრინციპობას კი არა, პრინციპულობას ნიშნავს.

„არ გვინდა მიშა და არ გვინდა ბიძინა“ – ეს არის პირდაპირ ბიძინას დატოვების ნარატივი. წამყვანი ოპოზიციური პარტია არის ნაციონალური მოძრაობა, მისი მომხრეები უფრო მეტნი არიან ღღეს, ვიდრე ყველა პარტია ერთად აღებული. დარბევაზე საუბრის დროს „ქართული ოცნების“ მომხრეებმა 20 ივნისის მერე ენები დაიმოკლეთ. როცა გავრილოვი გეჯდათ ზვიად გამსახურდიას სავარძელში, ენები დაიმოკლეთ.

თუ ვინმეს სააკაშვილი არ მოგწონთ, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ შეშაპარია ბიძინა ივანიშვილი. ჩემთვის ახლა ამათი ყიყინი არაფერს ნიშნავს, საკმაოდ გასქელებული მაქვს კანი, – განაცხადა სანიკიძემ.

სოფიო კილაძე: „ნაციონალები ხელისუფლებაში თუ დაბრუნდნენ, ადამიანებს ტყავს გააძრობენ!“

– თუ ისინი შეძლებენ ხელისუფლებაში დაბრუნებას, ტყავს გააძრობენ ადამიანებს ამ სიტყვის პირდაპირი და ირიბი მნიშვნელობით!

ამის შესახებ ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე სოფიო კილაძემ ჟურნალისტებთან განაცხადა, რითაც ის „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, გიგა ბოკერიას პოლიციელთან შელაპარაკებას გამოეხმაურა.

– სამწუხარო იყო ჩემთვის ამ კადრების ნახვა, თუნდაც აღელვებულ სიტუაციაში როგორი დამოკიდებულება აქვთ მათ საკუთარი მოქალაქეების მიმართ. არა აქვს მნიშვნელობა, რომელი პროფესიის წარმომადგენელია ეს მოქალაქე. ეს არის რეალურად მათი, მთელი ნაციონალური მოძრაობის დამოკიდებულება საკუთარ ხალხთან და მგონია, რომ ისინი თუ შეძლებენ ხელისუფლებაში დაბრუნებას, ტყავს გააძრობენ ადამიანებს ამ სიტყვის პირდაპირი და ირიბი მნიშვნელობით, – განაცხადა სოფიო კილაძემ.

ის ასევე გამოეხმაურა გივი თარგამაძის განცხადებას იმის თაობაზე, რომ კანონის ფარგლებში პროტესტის რადიკალურ ზომებს მიმართავენ.

– გივი თარგამაძისგან, რომელიც სულის ამოხდით ემუქრებოდა ოპოზიციონერებს, არ მიკვირს ამ პათოსის გაგრძელება, – აღნიშნა სოფიო კილაძემ.

იპნ

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სოსო ცინცაძე: „ქართული ოცნება“ უკვე დამარცხდა“

„რა საჭირო იყო დილის 5 საათზე ახალგაზრდებისთვის წყლის ჭავლის მიშვერა?!“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, ხელისუფლება აცხადებს, რომ თემა დახურულია, ოპოზიცია კი პასუხობს, რომ არ დათმობს. საპროტესტო ტალღა გრძელდება. როგორ შეიძლება პროცესები განვითარდეს?

– როგორც ჩანს, შიშს მართლაც დიდი თვალები აქვს. უცხოეთში, ათეულობით საპროტესტო მიტინგის მომსწრე ვარ, მაგრამ ასეთი ძალთა თანაფარდობა არსად მინახავს. 1 მომიტინგეზე 20 პოლიციელი და 15 სპეცრაზმელი მოდის. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჰუმანიზმსაც ხომ უნდა იჩენდეს სახელმწიფო?!

რა საჭირო იყო, რა აუცილებლობით იყო გამოწვეული გამთენიისას, დილის 5 საათზე ახალგაზრდებისთვის წყლის ჭავლის მიშვერა?! ამ ყინვაში, ამ სიცივეში ასე გამეტება ახალგაზრდების არანაირ მორალურ თუ კანონიერ ჩარჩოში არ ჯდება.

ომის დროს მტრულ სახელმწიფოებს შორის გამთენიას იწყება ხოლმე თავდასხმები, შეტევაზე გადასვლა, ახლაც რაღაც ასეთი იყო. არადა, სრულიად გაუგებარია, რატომ?! რა საჭიროება იყო ამისი?!

ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე კილაძეს რა განათლება აქვს, არ ვიცი, მაგრამ ახლა მაგიდაზე მიდევს ევროპაში გამოცემული წიგნი „ადამიანის უფლებები“. ეს წიგნი ხელში რომ არ ჭერია, ამაში დარწმუნებული ვარ.

როგორც ჩანს, „ოცნების“ მრჩევლები მაინცდამაინც დიდი პროფესიონალიზმით არ გამოირჩევიან. როგორ შეიძლება ურჩიო ხელისუფლებას, ამდენი ძალა გამოიყვანოს, ამდენი პოლიციელითა და სპეციალური დანიშნულების რაზმებით გადაკეტოს და ჩახერგოს დედაქალაქის ცენტრი. ეს ყველაფერი ხომ გადის საერთაშორისო მედიაში. მე ვეცნობი საერთაშორისო პრესას და აჭრელებულია იქაურობა. არ მესმის, ეს რაში უნდა აწყობდეს ხელისუფლებას?! თან რაზეა საუბარი, რას ითხოვს ოპოზიცია – საარჩევნო სისტემის ცვლილებას!

„ირაკლი კობახიძეს პრობლემა აქვს განათლებასთან და შინაგან კულტურასთან“

– რა უნდა იყოს ხელისუფლების პასუხი?

– სრულიად საპირისპირო. დიალოგს ალტერნატივა არ აქვს. შენ თუ ძლიერი ხარ, როგორც მართლაც ძლიერს შეეფერება, ისე უნდა მოიქცე და არა ისე, როგორი განცხადებაც პარლამენტის სხდომაზე ირაკლი კობახიძემ გააკეთა.

პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ, კონსტიტუციონალისტმა, გვითხრა: რა კარგია, რომ ნაციონალური მოძრაობა აღარ არის პარლამენტში. კობახიძეს პრობლემა აქვს განათლებასთან და შინაგან კულტურასთან. ბევრს არ მოსწონს ნაციონალური მოძრაობა, მაგრამ ამ ქვეყნის მოქალაქეების ნაწილს, 800 ათას ადამიანს, როგორც გაირკვა საპრეზიდენტო არჩევნებზე, მოსწონს ნაციონალური მოძრაობა.

ამ განცხადებით კობახიძეს ერთპარტიული პარლამენტი უნდა. უკან უნდა სახელმწიფოს დაბრუნება. თანაც ახალგაზრდა კაცია, როგორ ამბობს ასეთ რაღაცას, ისე მიკვირს! ფიქრობს, რომ სულ „ქართული ოცნება“ იქნება აწ და მარადის?!

– დამოუკიდებელმა დეპუტატმა ბექა ნაცვლიშვილმა თქვა: იმდენი მოვახერხეთ, რომ ახალგაზრდები, რომლებიც არც ერთი პარტიის წევრები არ არიან, რუსთაველზე ნაციონალური მოძრაობის გვერდით დგანან.

– აბსოლუტურად სწორია. აბსოლუტურად ვეთანხმები და ეს გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“, ხელისუფლებამ.

პროტესტის ძალა ყველა დროში და ყველა ფორმაციის წინააღმდეგ ახალგაზრდობაშია. თუ ხელისუფლებას ახალგაზრდობა დაუპირისპირდა, ეს მართლაც საფრთხის შემცველია მისი მომავლისთვის.

ახალგაზრდებს ობივატელისთვის დამახასიათებელი შემაკავებელი მუხრუჭები არ გააჩნიათ. სტუდენტობის ძალა ხომ სწორედ ამაშია. ივანიშვილი შეიძლება ამას დიდად ვერ აცნობიერებდეს, მას ეს სფერო არ აინტერესებს, ის პოლიტიკოსი არ არის, მაგრამ „ქართული ოცნება“ ხომ არის პოლიტიკური პარტია, იქ ხომ არიან პოლიტიკოსები?! ისინი რას ფიქრობენ ამაზე?!

კილაძე, ბერაია, ოხანაშვილი, მდინარაძე, რომლებიც საკუთარ თავს პოლიტიკოსებს უწოდებენ, ამაზე რას ფიქრობენ?! რატომ გამოვიდა ახალგაზრდობა ქუჩაში, რატომ მიდიან აქციებზე სტუდენტები, ნეტა რას აპროტესტებენ? რა უნდათ ამ ბავშვებს? არ კითხულობენ ეს პოლიტიკოსები?!

რუსული ანდაზაა: ძალა გვაქვს, ჭკუა არ გვჭირდება! ზუსტად ეს არის, რასაც ვუყურებთ. ასე მოქმედებს „ქართული ოცნება“.

– როგორ შეიძლება დასრულდეს ეს ყველაფერი, ვინ იქნება გამარჯვებული და ვინ წაგებული?

– საბოლოო ჯამში, გამარჯვებული არავინ იქნება, თუ ასე გაგრძელდა. გამარჯვებული არ არსებობს, არსებობს მხოლოდ დამარცხებული და ეს ჩვენი ქვეყანაა. არჩევნებში გამარჯვებულს ნუ ჩათვლით გამარჯვებულად.

პრაქტიკულად „ქართული ოცნება“ უკვე დამარცხდა, მიუხედავად იმისა, რომ არაფერს გამოვრიცხავ, არც იმას გამოვრიცხავ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ პროპორციული არჩევნების შემთხვევაშიც კი გააფორმოს გამარჯვება. თუმცა, საქართველოში არასდროს იქნება პროპორციული არჩევნები. არც 2024 წელს, პროპორციული საარჩევნო სისტემა არ ამოქმედდება. არც ერთი ხელისუფლება, ვის ხელშიც არის ძალაუფლება, არ გადავა პროპორციულ არჩევნებზე.

კიდევ ერთი: ოპოზიციას უხარია, რომ „ქართული ოცნება“ სრულ იზოლაციაშია, რომ მთელი დასავლეთი აკრიტიკებს. მე მის ადგილზე ასე ძალიან არ გამიხარდებოდა, რადგან ამის შემდეგ, უკვე ღიად, ხელისუფლებას მხოლოდ რუსეთისკენ მიმავალი გზა რჩება. ეს კი ქვეყნისთვის სახიფათოა.

ამაზე უნდა დაფიქრდეს ოპოზიცია. ხომ გვაქვს გამოცდილება, თუ როგორ აღმოჩნდნენ ყოფილი პოსტსაბჭოთა ქვეყნები დასავლეთის ზურგშექცევის და გარიყვის შემდეგ რუსეთის ორბიტაზე.

ლევან ხაბეიშვილი: „კალაძემ რომ დამინახა, შეეშინდა და სხვა კარიდან გაიპარა“

„ხელისუფლება რომ სპეცრაზმით ელაპარაკება ხალხს, უკვე დამთავრებულია“

ნონა ცაბაძე

26 ნოემბერს, დილის 5 საათზე პარლამენტთან აქციის დარბევასა და სხვა საკითხებზე „ახალი თაობის“ კითხვებს **ლევან ხაბეიშვილი** პასუხობს.

– ლევან, რამდენჯერაც შეიკრიბეთ და პარლამენტის პიკეტირება ცადეთ, ხელისუფლებამ იმდენჯერ ძალა გამოიყენა. შეშინებულია და ამიტომ მიმართავს ძალას?

– რა თქმა უნდა. დილის 5 საათზე რომ მშვიდობიან მანიფესტანტებს დაარბევენ, ცოტა უხერხულია, ხომ? მით უმეტეს, რომ მილიარდერი ოლიგარქი შეშის ქურდად გადაიქცა, ეს ძალიან მძიმე მდგომარეობაში აყენებს მას.

ადამიანებს შეშის გამო დასდევდნენ, რომ არ გამთბარიყვნენ. კი არ ფიქრობდნენ, რომ საშიში იყო, უბრალოდ, რომ არ გამთბარიყვნენ და გაყინულიყვნენ. თუმცა, მიუხედავად ამისა, იქ შეკრებილმა ადამიანებმა გადაწყვიტეს, რომ გაეთენებინათ.

– იფიქრეს, თუ შესცივდებათ, აქცია დაეშლებათო?

– მე არ ვიცი, ეგენი რას ფიქრობენ ან საერთოდ თუ ფიქრობენ.

ეს დარბევა მოხდა რუსულ სტილში. როდიონოვმა 9 აპრილს დარბევა დაიწყო დილის 4 საათზე. ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტა, დილის 5 საათზე დაეწყო აქციის დარბევა. დილის 5 საათზე რა საჭიროება იყო, თუნდაც კანონიერი, რომ მომხდარიყო პიკეტის დარბევა?! რა ხდებოდა დილის 5 საათზე?! სხდომა იმართებოდა და ვინმეს არ უშვებდნენ თუ პიკეტის მონაწილეები რამე უკანონოს ჩადიოდნენ იქ თუ პროტესტის უფლება აღარ აქვთ?! აღარც უნდა გავაპროტესტოთ?!

ეს მოხდა რუსულ სტილში. დაღლილობის პიკი არის დაახლოებით 4-დან 6-ის ნახევრამდე. ვისაც ღამეები უთენებია, იცის, ვისაც უმუშავია ძალოვან უწყებაში, იცის, ყველამ იცის, რომ ეს არის ყველაზე მძიმე დრო ადამიანისთვის. სპეციალურად შეარჩიეს ეს დრო. ნახევრად მძინარე ადამიანებს, მანიფესტანტებს დაესხნენ თავს და მინუს გრადუსში წყალი მიუშვირეს პირდაპირ.

ადრე თუ რეზინის ტყვიებით აბრმავებდნენ, ახლა პირდაპირ წყლის ჭავლი მიუშვეს სახეში. იმედია, ამ დაშავებულ ადამიანს მხედველობა შეუნარჩუნდება.

აი, ეს რეალობა გვაქვს. ეშინია ხელისუფლებას და რაღაზე ვლაპარაკობთ.

– ოპოზიციის ეშინია?

– დიახ. პარლამენტის ყველა კარი ჩვენ კი არ გვქონდა პიკეტირებული, არამედ – პოლიციასა და სპეცდანიშნულების რაზმს. ამას გარდა, ყველა ზედა ქუჩა დაკეტილი იყო, ჩიხები გადაკეტილი, სავსე იყო პოლიციელებით.

ათასობით პოლიციელი ცდილობდა, რამენაირად პარლამენტში შეეყვანა ეს ბიძინას ზებრები. მაგათ დეპუტატები აღარ ჰქვიათ, ეგენი არიან ბიძინას ზებრები. გურიის სამხარეო პოლიციის უფროსიც აქ იყო აქციაზე. მთელი სამხარეო პოლიცია, მაღალი თანამდებობის პოლიციელები, რიგითები – ყველანი აქ არიან, პარლამენტის შენობასთან და ცდილობენ, როგორღაც უსაფრთხოდ გადაადგილება შეძლონ „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა.

– პარლამენტის შენობაც სავსეა სპეცტექნიკითო. ეს რას ნიშნავს?

– ეს ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებას ლეგიტიმაცია აღარ აქვს, პოლიციისა და სპერაზმის ენით ცდილობს, ესაუბროს თავის მოქალაქეებს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

გიორგი ვაშაძე: „პარლამენტი სხდომებს მხოლოდ სპეცრაზმის დახმარებით გამართავს“

„ვაშინგტონში ჩვენი საელჩოც დაუბოქლომებიათ“

ნონა ცაბაძე

პარლამენტის წინ შეკრებილი ოპოზიცია ხელისუფლებამ გამთენიას კიდევ ერთხელ დაშალა. ოპოზიცია პარლამენტის პიკეტირებას ახდენდა, რათა უმრავლესობას სესია ვერ გაემართა, მაგრამ წყლის ჭავლით სპეცრაზმმა პარლამენტის შესასვლელებთან არსებული პიკეტირება მოხსნა და რუსთაველის გამზირიც გაწმინდა.

აქციაზე დაიკავეს 18 პირი, დაშავდა რამდენიმე მშვიდობიანი მოქალაქე და ერთი ჟურნალისტი.

ოპოზიცია აცხადებს, რომ პროტესტს არ შეწყვეტს. „ახალი თაობა“ აქციის ერთ-ერთ ლიდერს, „ახალი საქართველოს“ თავმჯდომარე **გიორგი ვაშაძეს** ესაუბრა.

– ბატონო გიორგი, რა გეგმები გაქვთ, რამდენი შეიკრიბებით, იმდენი სპეცრაზმის გამოყენებით უნდა დაგშალონ?

– მაინც ვერ დაგვშლიან, ისევ შევიკრიბებით. ატარონ სხდომები სპეცრაზმშემორტყმულებმა. შემთხვევით მოვხვდი პარლამენტის უკანა შესასვლელთან, სადაც არავის უშვებენ, იყო უამრავი სპეცრაზმელი, გადაკეტილია აბსოლუტურად ყველაფერი და უმძიმეს ვითარებაში მიდის პარლამენტის სხდომა. ასეთ სიტუაციაში რომ ატარებ პარლამენტის სხდომას, ხომ ყველას ესმის, რა ვითარებაცაა.

– დაანონსებული ჰქონდა ოპოზიციას, რომ მოხდებოდა პარლამენტის პიკეტირება და სხდომის ჩაშლა. ეს არ გამოვიდა.

– ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ თუ რობოკოპებსა და 10 ათას სპეცრაზმელს გამოიყვანენ, კი ბატონო, შეუძლიათ, პარლამენტში შევიდნენ. იგივე მოხდა ამ შემთხვევაშიც. ეს არის ჩვენი მშვიდობიანი პროტესტი, რომელზეც უკვე მთელი მსოფლიო წერს და სრულიად ახალი თაობის პროტესტია.

– საკმაოდ ხისტია ხელისუფლების პოზიცია, ერთი ნაბიჯით არ იხევს უკან. მოგიწოდებენ, რომ კონსტრუქციულ რეჟიმში ითანამშრომლოთ და პარლამენტში გადავიდეს პროცესი. რით უპასუხებს ოპოზიცია „ოცნების“ ხელისუფლებას?

– ჩვენ ორჯერ უფრო ხისტები ვართ და გაცილებით მეტ ბოქლომს მიიღებენ იმ კაბინეტებზე, სახელურების მოხსნა არ უშველით. გუშინ, არ ვიცი, ვის, მაგრამ ვაშინგტონში ჩვენი საელჩოც დაუბოქლომებიათ.

– დარბევის პერიოდში პარლამენტთან იყავით?

– დიახ, აქ ვიყავი. დღესაც აქ ვარ და სულ აქ ვიქნები.

– დილის ხუთ საათზე დაიწყეს დარბევა. იყო წინასწარი გაფრთხილება?

– დიახ, იყო გაფრთხილება, ისევე, როგორც ჩვენ გავაფრთხილეთ პიკეტირების დროს. ჩვენ ვუთხარით, გაგვაფრთხილეთ, როცა დარბევას გადაწყვეტთ. მათი მხრიდან იყო გაფრთხილება, ჩვენ გავათავისუფლეთ ცენტრალური გზა, ავიღეთ მონიტორი, ასევე ჩასაჯდომი პუფები და გადავედით ტროტუარზე. იქ ჩვენი დარბევის უფლება არ ჰქონდათ. იქ პიკეტირება არ ხდებოდა. პოლიცია შეეცადა ჩვენს დარბევას და არ მივეცით ამის უფლება, შემდეგ რობოკოპები მოიყვანეს და ტროტუარზე დაგვარბიეს, ანუ სრულიად დაარღვიეს ყველა კანონი. ეს იყო ჩვენი სტრატეგია, გვეჩვენებინა, რომ ისინი არღვევენ კანონს ყოველ ჯერზე და ყოველ წუთას.

– ითქვა, რომ რამდენიმე პირი დაშავდა.

– დიახ, არიან დაშავებულები, დაშავდა ჟურნალისტიც. ერთ-ერთ მოქალაქეს თვალში მოხვდა წყლის ჭავლი და თვალი სერიოზულად დაუზიანდა. ძალიან მძიმე ვითარება გვაქვს. ასევე საკმაოდ ბევრი ადამიანი დააკავეს, მათ შორის ლიდერები, მაგრამ ყველა გამოუშვეს ხელწერილით, იმიტომ, რომ აბსოლუტურად კანონის ფარგლებში მოქმედებდა ყველა მომიტინგე.

– რას აპირებთ?

– ვაპირებთ მშვიდობიანი პროტესტის გაგრძელებას, სანამ არ გავიმარჯვებთ, მანამდე!

„დეპუტატები პარლამენტში ვირთხებივით მიიპარებოდნენ“

– უფრო მწვავე ფორმას ხომ არ მიიღებს ეს ყველაფერი?

– ჩვენგან სიმწვავე არ იქნება. ჩვენ ჩვენი ფორმები გვაქვს, აბსოლუტურად არასტანდარტული, ახალი თაობის მიდგომა, რაზეც დიდხანს ვფიქრობდით და ამ ფორმებით ვაპირებთ გაგრძელებას.

უნდათ მათ, სპეცრაზმის ქვეშ ატარონ პარლამენტის სხდომები? კი ბატონო, ატარონ სპეცრაზმების ქვეშ. ჩვენ არ დავნებდებით, არ დავიღლებით.

– ანუ აპირებთ, რომ ყოველი პარლამენტის სხდომის წინ მოხდეს პარლამენტის პიკეტირება?

– კი, ასე იქნება. რომელი სხდომების დროს იქნება, ამას აუცილებლად გაცნობებთ. ოღონდ მხოლოდ პარლამენტის პიკეტირება არ იქნება. იქნება სხვა დაწესებულებების.

– უახლოესი გეგმები როგორია?

– წინასწარ არ ვსაუბრობთ მომავალი დღის გეგმებზე, ყოველდღე გეცოდინებათ, იმ კონკრეტულ დღეს რას ვაპირებთ. დღეს ნამდვილად ვერ გეტყვით, რას ვაპირებთ ხვალ კი, ვიცით, გარკვეული გეგმები გვაქვს, მაგრამ დაველოდოთ ხვალინდელ დღეს.

ჯერჯერობით პარლამენტთან ვართ, ვნახოთ, რა იქნება შემდეგ. აქ ტყუილად დგომა ჩვენი თვითმიზანი ნამდვილად არ არის. ჩვენი მიზანი რაც იყო, ვაჩვენეთ საზოგადოებას, რომ მხოლოდ სპეცრაზმის გამოყენებით შეძლებენ პარლამენტის სხდომის ჩატარებას.

როგორც ვირთხები, ისე მიიპარებოდნენ დეპუტატები პარლამენტში.

– აბსოლუტურად არაადეკვატურია პრეზიდენტის დამოკიდებულება ამ ვითარებასთან დაკავშირებით. მისი ერთი განცხადებაც არავის უნახავს ამ თემასთან დაკავშირებით, სამაგიეროდ, ვნახეთ სალობიები.

– ეს ქალი ხომ საერთოდ სხვა სამყაროში ცხოვრობს, ის ხომ საქართველოს პრეზიდენტი არ არის, უბრალოდ, დაპატრონებულია პრეზიდენტის სასახლეს და მორჩა, ასევე, ჩვენს კმაყოფაზე ცხოვრობს.

– მაინც რას ელით? ამბობენ, რომ 2020-ში არაფერი შეიცვლება, არჩევნები ძველი სისტემით გაიმართება.

– მე ვფიქრობ, აუცილებლად შეიცვლება!

– როგორ, რა ბერკეტებით, გაქვთ იმედი, რომ დათმობაზე წამოვლენ?

– წამოვიყვანთ. ამ მშვიდობიან პროტესტს დიდი საერთაშორისო და საზოგადოებრივი მხარდაჭერა აქვს. ეს ორი კომპონენტი აიძულებს „ქართულ ოცნებას“, დათანხმდეს იმას, რასაც ჩვენ ვითხოვთ.

– ანუ გაიზრდება წნეხი საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან?

– კატასტროფულად გაიზრდება.

ლევან ჩაჩუა: „ოპოზიციამ ქუჩაში ხალხი ვერ გამოიყვანა“

„სამართლიანი არჩევნების მტერი მაჟორიტარული სისტემა არ არის“

მარიამ მჭედლიშვილი

ოპოზიციური ერთობა და საზოგადოება აგრძელებს ქუჩის პროტესტს. საპარლამენტო ოპოზიცია ბოიკოტზეა გადასული. ხელისუფლება გადაჭრით აცხადებს, რომ არაფერი შეიცვლება და 2020 წლის არჩევნები დღეს მოქმედი შერეული, ანუ მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემით ჩატარდება. მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ **ლევან ჩაჩუას.**

– არის დღეს შექმნილი სიტუაცია რევოლუციური?

– ბევრი ხმაურისა და შეხლა-შემოხლის მიუხედავად, სიტუაცია რევოლუციურად ვერ ჩაითვლება. ბოლო დროს გაერთიანებულმა დაახლოებით 30-მა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ ხალხის მობილიზება ვერ მოახდინა. ამ პარტიებმა ქუჩაში ხალხი ვერ გამოიყვანეს. თითომ 500 კაცი ვერ შეკრიბა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პარტიებს წევრებიც არ ჰყავთ საკმარისი. პარტიების შესახებ კანონით, პარტია ვალდებულია, სულ ცოტა, ათასი წევრი ჰყავდეს.

– იქნებ ჰყავთ ამ პარტიებს საკმარისი წევრები?

– რომ ჰყავდეთ, ხალხს ხომ მოაგროვებდნენ?! ამ აქციებში ფული და საორგანიზაციო რესურსი დაიხარჯა, მაგრამ მასა არ მივიდა. რევოლუციისა და რევანშის წყურვილი ამ პარტიებს აქვთ, მაგრამ მიზანს ვერ აღწევენ. კანონი მოითხოვს, რომ ერთკაციან პარტიებს რეგისტრაცია გაუუქმდეთ. აუცილებელია პარტიების ხელახალი რეგისტრაცია, რომ ასეთმა პარტიებმა მაინც არ მიიღონ მონაწილეობა ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში.

– ეს პარტიები გარეთ გამოიყვანა ხელისუფლების ცრუ დაპირებამ. ისინი ემზადებოდნენ პროპორციული არჩევნებისათვის ბუნებრივი ბარიერით. „ქართულმა ოცნებამ“ დანაპირები გადათქვა და შემდეგ გამომწვევი და გროტესკული განცხადებები აკეთა.

– „ქართული ოცნება“ რომ საშინლად მოიქცა, ამაზე არ ვკამათობ. ამაში გასაკვირი არაფერია. რომელი დაპირება შეუსრულებია ივანიშვილის ხელისუფლებას? თვითონ უყვარს ივანიშვილს თქმა, რომ ვიღაცას ტრიუკი ჩაუტარა. ტრიუკებსა და ხრიკებში დახელოვნებულია ეგ კაცი. ადგა და ახლაც გამოიყენა თავისი ხელოვნება. მთავარია, ეს ოპოზიცია რას მოითხოვს?! როგორც ჩანს, ამ პოლიტიკოსებს საარჩევნო სისტემის ძირფესვიანად შეცვლა არ უნდათ.

„სიძულვილის ნიადაგზე გაერთიანებას ბოროტი ნაყოფი მოაქვს“

– ისინი პროპორციულ სისტემას, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ე.წ. გერმანულ მოდელს მოითხოვენ, რაც სამართლიან არჩევნებს და მრავალპარტიულობას მოიტანს.

– საქმეც ესაა, რომ ეს პოლიტიკოსები მთავარ აქცენტს „ფეოდალ“ მაჟორიტარებზე აკეთებენ. ბევრი მაჟორიტარი მართლაც უსინდისო და მომხვეჭელია, მაგრამ ეს არის შედეგი და არა – მიზეზი.

– რისი შედეგი?

– მანკიერი საარჩევნო სისტემის შედეგი. შესაცვლელია მთელი საარჩევნო გარემო, საარჩევნო სიებით დაწყებული, ცესკოთი დამთავრებული. ცესკო უნდა დაკომპლექტდეს იმ საზოგადო მოღვაწეებით, რომლებიც ნდობით სარგებლობენ.

არჩევნები ყალბდება როგორც საუბნო კომისიებში, ისე „ზევით“. ამიტომ, ხმის დათვლის პროცედურა უნდა მოხდეს ყველას დასანახად, ლაივში. სათვალთვალო კამერები ლამის ყოველ ნაბიჯზე დაგვიყენეს და რა გახდა მათი მოწყობა საარჩევნო კომისიებში!

სამართლიანი არჩევნების მტერი მაჟორიტარული სისტემა არ არის. ნორმალურ საარჩევნო სისტემაში შეიძლება მაჟორიტარებიც იყვნენ. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს თუ რაიონს ხომ უნდა ჰყავდეს საკუთარი წარმომადგენელი პარლამენტში!

„ქართული იდეა“ რეგიონებში რომ დავდივართ, ჩვენს კადრებს არავის ვახვევთ თავს. ჩვენ ადგილობრივებს ვთავაზობთ, წარმოადგინონ ის ადამიანები, ვისაც ენდობიან და პატივს სცემენ. ახლა რა გამოდის? ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“ მაჟორიტარების გამო ებრძვიან „ქართულ ოცნებას“?! მათ შორის კონფლიქტი შეუძლებელია.

– რატომ?

– თვითონ „ქართულმა ოცნებამ“ აღიარა, რომ ნაციონალურ მოძრაობასთან და მის განშტოებებთან გასაყოფი არაფერი აქვს. ლაშა ნაცვლიშვილმა, რომელიც ამჟამად „ოცნების“ პიარჯგუფშია, ხოლო „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის წლებში გენპროკურორის მოადგილე იყო, საჯაროდ განაცხადა, რომ საკაშვილის რეჟიმის დამნაშავე ჩინოსნები არ დასაჯეს. პროკურატურა ივანიშვილმა მაშინვე ნაცვლიშვილს ჩააბარა. დღეს ეს კაცი აღიარებს, რომ ამ ადამიანების კრიმინალი გაიცვალა კოაბიტაციაში.

„ქართული ოცნება“ კულუარებში ამ გარიგებით იყო დაკავებული, საზოგადოებას კი სამართლიანობის აღდგენას ჰპირდებოდა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ხალხი ბევრჯერ მოატყუა, სულიერ-ზნეობრივი, სოციალ-ეკონომიკური კუთხით ვითარება გააუარესა, ეკლესიაზე შტურმი გააძლიერა, თუმცა ერთი დადებითი რამ ივანიშვილმა მაინც გააკეთა.

– რა გააკეთა?

– თავისი ხრიკებით მოახდინა პოლიტიკური სპექტრის ლუსტრირება.

– რას გულისხმობთ?

– იმათ რიგებში, ვინც აშკარად ითვლებოდა ლიბერალური ინტერნაციონალის წარმომადგენლებად, ჩადგნენ ის პოლიტიკოსებიც, რომლებიც სარწმუნოებაზე დებენ თავს და პატრიარქს ხელზე ემთხვევიან ხოლმე. ამ ვითომ ტრადიციონალისტებმა, კონსერვატორებმა და ეროვნულებმა, ნიღაბი ჩამოიხსნეს, როცა ულტრალიბერალურ ძალებთან ერთად გამოვიდნენ საპროტესტო აქციებზე.

– ეს ძალები არც მალავენ, რომ ერთმანეთისგან განსხვავებულები არიან და „ქართული ოცნების“ ქმედებებმა ისინი ერთი მიზნისთვის გააერთიანა.

– რაღაცა ხომ უნდა თქვან! ამ პოლიტიკოსებს მათი მომხრეებიც აკრიტიკებენ. ძალიან ბევრი ადამიანი მძაფრად და არაკორექტულად საყვედურობს მათ იმის გამო, რომ ნაციონალურ მოძრაობასთან, „ევროპულ საქართველოსთან“ და „გირჩთან“ ერთად დგანან. მათ პასუხიც არ აქვთ. ეტყობა, დავალებული აქვთ აქციებში მონაწილეობა.

ხალხის უმრავლესობა ალტერნატივის ძებნაშია. ალტერნატიული ჯანსაღი ძალა აუცილებლად შეიქმნება. საქართველოში, ტრადიციულად, პოლიტიკური ძალები სიძულვილის ნიადაგზე ერთიანდებიან – შევარდნაძის მიმართ ზიზღმა ხალხი სააკაშვილის გარშემო შეკრიბა, სააკაშვილისადმი სიძულვილმა – ივანიშვილის გარშემო.

დღეს ოპოზიცია ხალხს აჩვენებს, რომ ივანიშვილი ეზიზღება. ეს ოპოზიციონერები ისე იქცევიან, რომ ჩვეულებრივი ადამიანი მათ ისევ „ქართულ ოცნებას“ ამჯობინებს. არჩევანი ისევ არსებობს ცუდსა და უარესს შორის. ბევრჯერ ვნახეთ, რომ სიძულვილის ნიადაგზე გაერთიანებას ბოროტი ნაყოფი მოაქვს. თუ სიყვარულით გავერთიანდებით, ნაყოფი კეთილი იქნება. გაერთიანება სამშობლოს სიყვარულისა და ხალხზე ზრუნვის საფუძველზე მოიტანს კარგ შედეგს.

დღეს ქუჩაში სიძულვილი მეფობს. მიდის გავლენებისა და ძალაუფლების განაწილება. ამ მოქმედებებში არც სახელმწიფოებრივი აზროვნება იგრძნობა, არც ხალხზე ზრუნვა და არც – „ქართული ოცნების“ დამარცხების სურვილი.

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ლევან ხაბეიშვილი: „კალაძემ რომ დამინახა, შეეშინდა და სხვა კარიდან გაიპარა“

მოგვიწოდებენ კონსტრუქციული დიალოგისკენ, თან გვეუბნებიან, დაგპირდით, მოგატყუეთ, თავს ლაფი დაგასხითო, არჩევანის უფლება წაგართვით, რადგან სხვანაირად ჩვენ წავაგებდითო და რომ მოგატყუეთ, ახლა ნულარ აპროტესტებთ, ეგ დესტრუქციულიაო, პარლამენტში შემოდით, აქ დავსხდეთ და აქ მოგატყუებთ თბილად, ქუჩაში ნუ გახვალთო.

აი, ეს გვითხრეს. ყველა მოატყუა, საერთაშორისო თაღლითია ივანიშვილი. ყველა გადააგდო.

– დიალოგ ზე არ მიდიხართ, მაშინ რა გამოდის, რამდენჯერაც შეიკრიბებით, იმდენჯერ უნდა დაგარბიონ? უკანდახევას არ აპირებს ხელისუფლება და რა ბერკეტი გაქვთ?

– არც ჩვენ ვაპირებთ უკანდახევას. პიკეტირებების გარდა, მივალთ ყველგან, სადაც კი გადაადგილდებიან. ხომ ვხედავთ, რომ ძალიან ეშინიათ!

აი, ახლა, ამ წუთებში, ჩვენ რომ ინტერვიუს ვწერთ, კალაძეს შეხვედრა ჰქონდა დეველოპერებთან, უნდა ჩამოსულიყო ქვემოთ, პრესა გააფრთხილეს, კალაძე გააკეთებს კომენტარსო. მეც ჩავედი. როგორც კი დამინახეს, კალაძე აღარ გამოვიდა მედიასთან და სხვა კარიდან გაიპარა.

– ეშინიათო და ეს შიში მეტ შეცდომას ხომ არ დაა შვებინებს?

– რა თქმა უნდა, ასე იქნება. ასე მარტივად არ დამთავრდება. ეს პროცესი ახლა ნერვების ომია. ვართ გაძლებაზე. ბიძინა ივანიშვილს რომ ასეთი პრიმიტიული ტვინი აქვს – მოდით, შეშას მოვპარავ და, რომ შესცივდებათ, სამშობლოს სიყვარული დაავიწყდებათო. ეს გათვლა ჰქონდა, რომ დავიშლებოდით, მაგრამ არ გამოვიდა.

ახლა ფიქრობს, რომ დავიღლებით. არა, ბატონო, არ დავიღლებით! უკანდასახევი გზა არ გვაქვს. არჩევნებს გვიუქმებენ და ბარემ ჩავაბაროთ ეს ქვეყანა ბიძინას?! რას გვთხოვენ, რა პროცესში უნდა მივიღოთ მონაწილეობა?! ჩვენ გვინდა თავისუფალი არჩევნები და ამაზე არ მოდიან, სალაპარაკოც არაფერია.

– როგორია უახლოესი დღეების გეგმები?

– გაგრძელდება პიკეტირებები, გაგრძელდება ყველა დეპუტატის დისკომფორტი და როდემდე ივლიან პოლიციასთან ერთად?! ეს ხომ წარმოუდგენელია, თქვენ როგორ გგონიათ, ასე იმუშავებენ?! ღრმა კრიზისში არიან.

სწორედ ამიტომაა, რომ გამოვიდა თალაკვაძე და ტირის, პარლამენტში შემოდით და აქ გავაგრძელოთო. ეს შეუქცევადი პროცესია, მორჩა! ჩვენ რომც გამოვიდეთ და ვთქვათ, რომ აღარ ვიბრძვით, ეს არაფერს შეცვლის – უამრავი ახალი ადამიანი გამოჩნდა და ეს ხალხი არ დათმობს!

ეს არ არის პროცესი, რომელიც შეიძლება, ერთმა ადამიანმა მართოს, თუნდაც ორმა და სამმა. ეს არის შეუქცევადი პროცესი, რომელიც აღარ გაჩერდება. ხელისუფლება რომ სპეცრაზმით ელაპარაკება ხალხს, უკვე დამთავრებულია. ვნახოთ, როდემდე შეინარჩუნებენ და როგორი ბიჭები არიან. ესენი ხელისუფლებაში აღარ არიან, ესენი გადასული არიან გახანგრძლივებაზე. ძიძიგურმა დატოვა ივანიშვილი და საერთოდ რაღაზე ვლაპარაკობთ?!

– პრეზიდენტისგან არ მოგვისმენია პროცესის არანაირი შეფასება. მის ქმედებებზე რას იტყოდით?

– ჩვენ სად გვყავს პრეზიდენტი! ის კრიმინალების პრეზიდენტია. ეს ხომ დადასტურებულია. დოკუმენტზე რომ წერია, აი, ისეა დადასტურებული! ეს ქალი მკვლელებს, ყაჩაღებსა და ბარიგებს იწყალებს. ეს არის ჩვეულებრივად კრიმინალების დედოფალი. ბიძინა ივანიშვილის ქურდული სამყაროს ერთ-ერთი წარმომადგენელია. პოლიციელის მკვლელი შეიწყალა, რაზე ვლაპარაკობთ საერთოდ.

ადეკვატურობას სთხოვთ ამ ქალს?! ოკუპაცია იყო და ლოპოტაზე იყო წამოკოტრიალებული, ახლაა და რესტორან და დუქან-დუქან დადის. ჩვენ პრეზიდენტზე არ ვლაპარაკობთ. ეს არის ხელდასხმული კრიმინალი.

აბსოლუტურად ყველას მოეკითხება, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ კრიმინალურ ფაქტში, რასაც ჰქვია პრეზიდენტის „არჩევა“.

ამათი დღეები დათვლილია, მორჩა, შეუქცევადი პროცესები დაიწყო. ხალხი აღარ გაჩერდება, სანამ ბიძინას არ დაასრულებს. ეს გადაწყვეტილი ამბავია! ჩვენ ვაპირებთ ბრძოლას ბოლომდე მშვიდობიანი და კანონიერი გზით. თუ ვინმე კანონს არღვევს, ეს ბიძინა და მისი მონები არიან.

ანზორ წოწონავა: „რატომ უნდა ავირჩიოთ საქართველოს დეპუტატი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ხარჯზე?!“

გულიკო ბალაძე

რატომ ირჩევენ 138 დეპუტატის ნაცვლად 150 დეპუტატს საქართველოს პარლამენტში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კვოტების ხარჯზე? – „ახალ თაობას“ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სამართლის დოქტორი **ანზორ წოწონავა** ესაუბრა.

– 2020 წლისთვის პროპორციული სისტემით არჩევნების ჩატარების კონსტიტუციური პროექტის ჩავარდნა როგორ მიიღეთ?

– აქ გასაკვირი არაფერია. დემოკრატიის განვითარების პრინციპი ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად შემოდის. მერე რა, რომ მმართველმა პარტიამ გააკეთა განცხადება საარჩევნო სისტემის შეცვლაზე.

– ოპოზიცია ამბობს, რომ მმართველმა პარტიამ ისინი მოატყუა.

– ოპოზიცია შეშფოთებულია, რატომ არ დაუქნია ჯოხი პარტიის ლიდერმა დეპუტატებს,

მორჩილად მიეცათ ხმა პროექტისთვის. შედეგი ხომ დიქტატის არარსებობას ადასტურებს. სამწუხაროდ, ოპოზიცია რეალურად უშლის ხელს დემოკრატიული პრინციპების ჩამოყალიბებას.

– როგორ?

– 2012 წლიდან გრძელდება არაფრისმომტანი კრიტიკა, მწვავე დაძაბულობის შემოტანა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება არავითარ სარგებლობას არ მოუტანს ქვეყანას. კონსტიტუციით პროპორციული არჩევნების ჩატარება 2024 წლისთვის არის გათვალისწინებული. ეს დრო კარგად იყო გათვლილი ახალი საარჩევნო სისტემის ასამუშავებლად. ყველა საარჩევნო სისტემას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე.

– რას გულისხმობთ?

– საკითხავია, არის თუ არა დღეს ჩვენი ელექტორატი, ხალხი მზად ახალი საარჩევნო სისტემით არჩევნების ჩასატარებლად.

რატომ უნდა ვიჩქაროთ დღეს მაჟორიტარული არჩევნები გაუქმება, როცა ქვეყნის მართვის სამართლებრივი სისტემა გარკვეული არ არის. სანამ კომპლექსში გლობალურად სტრატეგიული სამართლებრივი სისტემა კონსტიტუციურად არ იქნება ჩამოყალიბებული, საარჩევნო სისტემაში ცვლილებების შეტანას აზრი არ აქვს.

– დღეს შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია გასათვალისწინებელი არ არის? ოპოზიცია აქციების რეჟიმშია, ქვეყანა ზარალდება.

– დღეს ოპოზიცია ჩასაფრებულია, სხვადასხვა ხრიკით მიზეზებს ეძებს, როგორმე ხელი შეუშალოს ხელისუფლებას, მოაწყოს აქციები, პროვოკაციები და პოლიტიკური დესტაბილიზაცია. მუდმივი წინააღმდეგობებით, დაპირისპირებით რევოლუციური გადატრიალების წინაპირობებს ქმნიან.

ჩვენი კონსტიტუცია სერიოზულადაა ნაწვალები ამ ორი ათეული წლის განმავლობაში. წინა ხელისუფლებამ უამრავი გაუაზრებელი ცვლილება შეიტანა, რომელიც გათვლილი იყო ხელისუფლებაში მათ დარჩენაზე. ამიტომ კონსტიტუციის მინიმალურად მაინც წესრიგში მოყვანას 2012 წლიდან თითქმის 5 წელზე მეტი დასჭირდა. დღეს ქვეყანას სჭირდება კონსტრუქციული ოპოზიცია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის, დასახული სტრატეგიული პროექტების განსახორციელებლად.

– ხელისუფლება ოპოზიციასთან ამ საკითხის დარეგულირებას შეძლებს?

– 2012 წლიდან ქვეყანამ რთული პოლიტიკური გზა გაიარა, დამყარდა გამართული საერთაშორისო ურთიერთობები, ამაღლდა ქვეყნის ავტორიტეტი ცივილიზებულ სამყაროში, განხორციელდა მთელი რიგი პროექტები, შეწყდა რეპრესიები, შეიქმნა პოლიტიკური პლურალიზმის გარემო. ოპოზიცია კი განაგრძობს არაცივილიზებული გზით ხელისუფლებაში მოსვლისთვის ბრძოლას.

– თუმცა საჭიროა ამ დაპირისპირების დროულად განმუხტვა.

– ხელისუფლებას საკმარისი გამოცდილება აქვს, პოლიტიკური დაპირისპირება დროულად დაარეგულიროს. დღეს ქვეყნის ყველაზე დიდი პრობლემა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. ეს საკითხი ოპოზიციის მიერ ინიცირებული პროვოკაციების ფონზე რეალურად მივიწყებულია.

აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი რუსეთის ფედერაციის მიერ არის აღიარებული. ისინი აღიარა კიდევ გაურკვეველი წყობის ორმა სუბიექტმა. ჩვენს კონსტიტუციაში, საარჩევნო კოდექსში ამაზე არაფერია ჩაწერილი, როგორი იქნება მათი სტატუსი იურისდიქციის აღდგენამდე და რა პოლიტიკურ სამართლებრივ პოზიციას აფიქსირებს ჩვენი ქვეყანა.

საქართველოს პარლამენტში 1992 წლიდან იყო აფხაზეთიდან არჩეული 14 დეპუტატი, მათ შორის 2 აფხაზი. ამ დეპუტატებს, საარჩევნო კოდექსის მაშინდელი 127-ე მუხლის თანახმად, უგრძელდებოდათ უფლებამოსილება, რადგანაც არჩევნების ჩატარების საშუალება უკვე არ იყო.

ყოფილი ხელისუფლების პირობებში, 2004 წლის 8 აგვისტოს, აფხაზეთიდან არჩეულ დეპუტატებს საქართველოს პარლამენტმა უფლებამოსილება შეუწყვიტა. ამით გაწყდა ის პოლიტიკურ-სამართლებრივი ძაფი, რომელიც აფხაზეთს ამყოფებდა საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში.

შემდგომში, საქართველოს კონსტიტუციით, პარლამენტი 235 წევრიდან შემცირდა 150-მდე. აფხაზეთის საზოგადოებისა და ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ არაერთხელ იქნა დაყენებული საკითხი, რომ საარჩევნო კოდექსით გამოეყოთ აფხაზეთისთვის – 8, ცხინვალის რეგიონისთვის კი 4 სადეპუტატო ადგილი და დარჩენილიყო ის ვაკანტური (ცარიელი). ე.ი. საქართველოს პარლამენტში უნდა ყოფილიყო არჩეული სულ 138 დეპუტატი.

ეს გადაწყვეტილება, გარკვეულწილად, შეაფერხებდა ამ რეგიონის აღიარებას. ჩვენი პოლიტიკური, სამართლებრივი და მორალური ღირსების საქმეა, მოწყვეტილი რეგიონები არ დავტოვოთ სამართლებრივი შეფასების გარეშე, რადგან ისინი ქვეყნის განუყოფელი ნაწილებია.

ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს გაუჩნდება სამართლიანი კითხვა, რატომ უნდა იქნეს არჩეული საქართველოს დეპუტატი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ხარჯზე, როდესაც ეს რეგიონები დროებით ოკუპირებულია?! თუ ვინმე ფიქრობს, რომ ეს ქართული ძირძველი რეგიონები სამუდამოდაა ჩაბარებული, მაშინ შეიძლება, საერთოდ არ შევეხოთ ამ საკითხს.

პარლამენტთან წყლის ჭავლი შსს-ს საპოლიციო ძალებმა გამოიყენეს

26 ნოემბერს, დილის 5 საათზე, პარლამენტთან მიმდინარე აქციის დარბევისას გამოყენებულ იქნა წყლის ჭავლი.

ეს ფაქტი უარყო საპატრულო პოლიციის უფროსმა ვაჟა სირაძემ.

მისი თქმით, აქციის დაშლისას პოლიციას სპეციალური საშუალებები, მათ შორის წყლის ჭავლი არ გამოუყენებია.

– გუშინ დაიწყო საპროტესტო აქცია და გადაიზარდა კანონდარღვევაში, ვინაიდან გარკვეულმა ოპოზიციის წარმომადგენლებმა მოახდინეს საკანონმდებლო ორგანოს შესასვლელების პიკეტირება. მათ მიეცათ გონივრული ვადა, რაზეც არ დაემორჩილნენ პოლიციის მოთხოვნას. შესაბამისად, პოლიციური ძალები გამოვიდნენ და აღნიშნული პირები ჩამოიყვანეს რუსთაველის გამზირზე ყოველგვარი ძალადობისა და სპეციალური საშუალების გამოყენების გარეშე, მათ შორის წყლის, – თქვა მან.

მოგვიანებით ამ განცხადებაზე შსს-მ სპეციალური განმარტება გააკეთა.

ამ განმარტებიდან ჩანს, რომ სპეციალური საშუალებები შსს-ს საპოლიციო ძალებმა გამოიყენეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფი აქციის ორგანიზატორები/მონაწილეები გააფრთხილეს და მათ მისცეს გონივრული ვადა, რომ ხელოვნურად შექმნილი ბარიერებისგან გაეთავისუფლებინათ საკანონმდებლო ორგანოს შესასვლელები და გზის სავალი ნაწილი.

აქციის მონაწილეებმა მითითებულ ვადაში არ გაათავისუფლეს საკანონმდებლო ორგანოს მათ მიერ ბლოკირებული შესასვლელები. შესაბამისად, აქცია გასცდა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების კანონით დადგენილ ფარგლებს, კერძოდ, დაირღვა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც კრძალავს საკანონმდებლო ორგანოს შესასვლელების ბლოკირებას, ასევე, გზის სავალი ნაწილის გადაკეტვას, თუ აღნიშნულის საჭიროებას არ განაპირობებს შეკრების მონაწილეთა რაოდენობა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო ძალების მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად საკანონმდებლო ორგანოს შესასვლელები გათავისუფლებულია.

პარლამენტის შენობასთან მიმდინარე აქციის დროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) და 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისთვის სულ დაკავებულია 28 პირი.

სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო სამმა მოქალაქემ. დაშავებულ პირებს სამედიცინო დაწესებულებებში შესაბამისი დახმარება გაეწიათ“, – ნათქვამია განცხადებაში.

ბესიკ გაზდელიანს 2.000-ლარიანი ჯარიმა დაეკისრა

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს დაკავებული წევრი ბესიკ გაზდელიანი სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე ლელა ჭინჭარაულმა გუშინ, 26 ნოემბერს, გამოაცხადა.

ბესიკ გაზდელიანს ადმინისტრაციული სახდელის სახით 2.000-ლარიანი ჯარიმა დაეკისრა.

შსს-ს წარმომადგენელი ადმინისტრაციული სახდელის სახით – ჯარიმას, ადვოკატი კი საქმის შეწყვეტას, უკიდურეს შემთხვევაში, სიტყვიერი გაფრთხილების გამოყენებას ითხოვდა.

ბესიკ გაზდელიანი 25 ნოემბერს ბარათაშვილის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის იმ დროს დააკავეს, როცა აქციის მონაწილეებთან მანქანით რამდენიმე პირთან ერთად შეშა მიჰქონდა.

შსს-ს წარმომადგენლის განმარტებით, გაზდელიანი აგრესიულად, ხმამაღლა იგინებოდა და საზოგადოებრივ წესრიგს არღვევდა.

ვიდეომტკიცებულების გამოკვლევის შემდეგ მოსამართლემ შსს-ს წარმომადგენელს სთხოვა განემარტა, თუ რა ნაწილში იყო სამართალდარღვევა, რასთან დაკავშირებითაც, შსს-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესაძლო იყო, სამართალდარღვევა კამერის მიღმა მომხდარიყო.

ბესიკ გაზდელიანი სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) და 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისთვის დააკავეს.

აფხაზეთში სამმა სოფლამ გოგონამ 81 წლის ქალი დააყაჩაღა და სასტიკად აწამა

ოკუპირებულ აფხაზეთში, გულრიფშის რაიონის სოფელ პშაპში, მოხუცი ქალის დაყაჩაღების ბრალდებით სამი ახალგაზრდა ქალი აიყვანეს.

აფხაზეთის ე.წ. შს სამინისტროს განცხადებით, 81 წლის ქალზე ჯგუფური ყაჩაღობა 19 ნოემბერს, გვიან ღამით მოხდა. თავდასხმაში ბრალდებულები გოგონები არიან – 1994 წელს დაბადებული კარინა ტოროსიანი, 1999 წელს დაბადებული ედუარდა ჯანსუზიანი და 2003 წელს დაბადებული ანგელინა კეშეშიანი.

სამივე გულრიფშის რაიონში ცხოვრობს და, როგორც ჩანს, მათ მოხუც ქალზე ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდათ.

შემთხვევა ღამის 2 საათზე მოხდა. 1938 წელს დაბადებულ მარტოხელა მოხუცს თავს სამი ბოროტმოქმედი დაესხა. თავდამსხმელებმა ქალს გრაფინით და ხის ჯოხით მრავლობითი დაზიანებები მიაყენეს, 30 ათასი რუბლი (1000 ლარამდე) წაართვეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

მოხუცი ქალი მეზობლებმა უმძიმეს მდგომარეობაში იპოვეს და ადგილობრივ სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა ამჟამადაც მძიმეა. ადგილობრივების თქმით, მოხუცმა რამდენიმე დღის წინ ძროხა გაყიდა და თანხა შენახული ჰქონდა, მეზობლად მცხოვრებ გოგონებს კი ამის შესახებ ინფორმაცია ჰქონდათ.

„ეს არის ქვეყნისთვის სამარცხვინო რეალობა და არა კონკრეტულად, იმ სამი ოჯახის და არავინ გაბედოს იმის თქმა, რომ ასეთი რამეები ყველგან ხდება. მათ შორის, ყველაზე უფროსი 25 წლის გოგოა, ყველაზე პატარა 16-ის...

ხვდებით, რას ნიშნავს ეს? ეს არის ჩვენი ახალი თაობის ახლანდელი სახე, ფულის გამო ყველაფერზე წამსვლელები. შემძრა ამ ამბავმა! რას ვაკეთებთ, სად ვცხოვრობთ, ხალხო“, – წერს ერთ-ერთი აფხაზი ინტერნეტმომხმარებელი.

„ბიჭების თავგასულობა და ყაჩაღობა არ გვყოფნიდა, ახლა მძარცველი გოგონები დაგვემატნენ. ქალი აწამეს სასიკვდილოდ, შუშის გრაფინი დაამსხვრიეს თავზე და ჯოხით ცემეს. სად გაიზარდეთ, რა ოჯახში?! დედებო, რატომ არ კითხულობთ, თქვენი შვილები ღამე სახლში რატომ არ არიან? შოკში ვარ, საით მივდივართ, რა ჰქვია ამ გზას, თუკი არის გზა საერთოდ!“ – წერს კიდევ ერთი აფხაზი.

„შვილებს ვერ ვზრდით... ამას კარგა ხანია მივხვდი, ან როგორ გინდა ამ ველურ გარემოში შვილი ადამიანად გაზარდო... სომხებმა გაუტიეს, ნარკოტიკების რეალიზაცია არ გვყოფნიდა, ახლა ძარცვაზე გადავიდნენ“, – წერს ერთ-ერთი ინტერნეტმომხმარებელი ფსევდონიმით „მაშა ბუხუნი“.

„ბოროტებას ეროვნება არ გააჩნია, ნებისმიერს შეუძლია ამის გაკეთება... უბრალოდ, ჩვენს თავს სხვა რაღაც ხდება, ძალიან მძიმე და ტრაგიკული. ღმერთმა ქნას, გადავრჩეთ, თუმცა ამის იმედს თანდათან ვკარგავ“, – მიაჩნია ერთ-ერთ აფხაზს.

თბილისში, ლიეტუვას საელჩოსთან, მამაკაცი დაჭრეს

გუშინ, 26 ნოემბერს, თბილისში, ლიეტუვას საელჩოსთან, მამაკაცი ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს.

მას რამდენიმე ტყვია აქვს მოხვედრილი.

ადგილზე პოლიცია იყო მობილიზებული.

გამოძიება სისხლის სამართლის ორი – განზრახ მკვლელობის მცდელობისა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების მუხლით მიმდინარეობს.

გორიჯვრის სალოცავიდან 40 ლარი მოიპარეს

გორიჯვრის სალოცავიდან 40 ლარი მოიპარეს. ინფორმაციას სოფელ გორიჯვრის მცხოვრებლები ადასტურებენ.

შემთხვევა გიორგობის დღესასწაულის ღამეს მოხდა.

შსს-მ გამოძიება 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დაიწყო.

გრემში სახლი აფეთქდა

12 წლის ბიჭი დაიღუპა

გუშინ, 26 ნოემბერს, უბედური შემთხვევა მოხდა ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ გრემში.

გაზის გაჟონვის შედეგად ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში აფეთქება მოხდა, რასაც შემდეგ ხანძარი მოჰყვა.

ხანძრის შედეგად დაიღუპა12 წლის ბიჭი, რომელმაც სახლიდან გამოსვლა ვერ მოასწრო.

ნინოწმინდაში ავტომობილი ამოტრიალდა

დაშავებულია 3 პირი

ნინოწმინდაში „ჰონდას“ მარკის ავტომობილი გზიდან გადავიდა და ამოტრიალდა.

შემთხვევის შედეგად სამი ახალგაზრდა დაშავდა. მათ შორის ორი არასრულწლოვანია.

დაშავებულები საავადმყოფოში არიან მოთავსებული.

ყაჩაღობაში ბრალდებულს 8 წელი მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ყაჩაღობისთვის ბრალდებული თ.გ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის 8 სექტემბერს ქ.თბილისში, ზაჰესში, თ.გ. თავს დაესხა კერძო ტაქსის მძღოლს დ.მ.-ს და დანის დემონსტრირებით, ძალადობისა და სიცოცხლის მოსპობის მუქარით თანხა და ავტომობილის გადაცემა მოსთხოვა.

დაზარალებულმა დ.მ.-მ ავტომობილიდან გადასვლა და გაქცევა მოახერხა, ხოლო თ.გ. დაეუფლა 11.500 ლარად ღირებულ „ტოიოტა პრიუსის“ მარკის ავტომობილს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცავებმა თ.გ. იმავე დღეს მცხეთის ტერიტორიაზე, ყაჩაღობის შედეგად დაუფლებული ავტომობილით გადაადგილებისას დააკავეს. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა პროკურატურამ მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 179 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ თ.გ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

გორში რესტორანში 18 წლის ჯარისკაცი დაჭრეს

„კლინიკაში შემოყვანისას პაციენტის მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო“

გორში ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს. შემთხვევა 25 ნოემბერს, გვიან ღამით, ერთ-ერთ რესტორანში მოხდა.

18 წლის დაჭრილი ჯარისკაცი სასწრაფო დახმარების ჯგუფმა კლინიკა „გორმედში“ გადაიყვანა. ახალგაზრდას ბასრი საგნით მიყენებული შემავალი ჭრილობები აღენიშნებოდა.

– კლინიკაში შემოყვანისას პაციენტის მდგომარეობა იყო უკიდურესად მძიმე. ახალგაზრდა მამაკაცს აღენიშნებოდა მუცლის ღრუში შემავალი 3 ჭრილობა. ჩაუტარდა ყველა საჭირო გამოკვლევა, გაუკეთდა ოპერაცია. ამჟამად პაციენტი მოთავსებულია რეანიმაციულ განყოფილებაში, – განაცხადა „გორმედის“ ქსელის გორის საუნივერსიტეტო კლინიკის ექიმმა დავით გასიტაშვილმა.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 19-109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს. შსს-ს ინფორმაციით, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების საფუძველზე, ცხელ კვალზე დაკავებულია ერთი პირი.

პალესტინაში „მრისხანების დღეები“ იმართება

პალესტინაში „მრისხანების დღეების“ გამართვა იგეგმება. ამ გზით, პალესტინის მოსახლეობა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, მაიკ პომპეოს, განცხადებას გააპროტესტებს, რომლის მიხედვითაც, შეერთებული შტატები ისრაელის დასავლეთის ნაპირზე არსებულ ებრაულ დასახლებებს კანონიერად ცნობს.

„მრისხანების დღეების“ ფარგლებში პალესტინის ცენტრალურ ქალაქებში მასშტაბური საპროტესტო აქციები გაიმართება.

პალესტინელი ოფიციალური პირების ცნობით, სასწავლო დაწესებულებები დროზე ადრე დაიხურება, რათა მოსწავლეებს და სტუდენტებს საპროტესტო აქციებში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ.

ებრაული მედიის ცნობით, ჯერჯერობით ცნობილი არ არის, შეუერთდება თუ არა ჰამასი აღნიშნულ აქციებს.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, მაიკ პომპეომ, განაცხადა, რომ თეთრი სახლი პოზიციას ცვლის და „მდინარე იორდანეს დასავლეთით ებრაული დასახლების არსებობა კანონიერია“.

1978 წლის ამერიკის შეერთებული შტატების დადგენილებით, მდინარე იორდანეს დასავლეთით ებრაული დასახლების არსებობა „შეუსაბამო იყო საერთაშორისო კანონმდებლობისთვის“. იგივე პოზიციაა დაფიქსირებული გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციების მიხედვით, რომელთაგან ბოლო, 2016 წელს იქნა მიღებული. დასახლებების არაკანონიერება აღიარებული იყო ჟენევის მეოთხე კონვენციის მიხედვითაც.

ევროსაბჭომ ევროკომისიის ახალი შემადგენლობა დაასახელა

ევროსაბჭომ ევროკომისიის შემადგენლობა დაასახელა. მას გერმანიის ექსთავდაცვის მინისტრი ურსულა ფონ დერ ლიაინი ჩაუდგება სათავეში.

– მე მომხრე ვარ იმისა, რომ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები გაგრძელდეს, – განაცხადა ურსულა ფონ დერ ლიაინმა.

ევროკომისიის ახალმა თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ევროკავშირმა უნდა გაამკაცროს პოლიტიკა რუსეთის მიმართ.

– რუსეთში ავტორიტარული რეჟიმია! ირღვევა ადამიანის უფლებები! რუსეთი ძალადობს მეზობლებზე! ამასთან შეგუება არ შეიძლება, – თქვა მან.

ევროსაბჭოში შევიდნენ უნგრელი ოლივერ ვერგეი, ესპანელი ჰოსელ ბორელი, რომელიც ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების საკითხების კომისარი იქნება, და ა.შ.

ალბანეთში ძლიერი, 6,4 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა

7 ადამიანი დაიღუპა

ალბანეთში ბოლო ათწლეულების მანძილზე ყველაზე დიდი მიწისძვრა მოხდა. 6,4 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა გუშინ, 26 ნოემბერს, დილის 4 საათზე დაფიქსირდა.

მიწისძვრას 7 ადამიანი ემსხვერპლა. მიმდინარეობს სამაშველო სამუშაოები ნანგრევებში მოყოლილი მოქალაქეების გადასარჩენად.

დანგრეულია შენობები, დაშავებულია ასობით ადამიანი.

მიწისძვრის ეპიცენტრი ტირანადან დასავლეთით, 30 კილომეტრში დაფიქსირდა. ბიძგები იგრძნობოდა ბალკანეთის ქვეყნებსა და სამხრეთ იტალიაშიც.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მოხუცმა ბოდიბილდერმა ბოროტმოქმედს მაგიდით სცემა

ამერიკის ნიუ-იორკის შტატის ქალაქ როჩესტერში ხანშიშესულმა ბოდიბილდინგის მოყვარულმა ქალმა ბოროტმოქმედს, რომელმაც მის სახლში შეაღწია, სცემა.

82 წლის უილი მერფი ამტკიცებს, რომ უცნობი მის სახლთან დაახლოებით ღამის 23:00 საათზე გამოჩნდა. მან კარზე დააკაკუნა და სასწრაფო დახმარების გამოძახება სთხოვა, მაგრამ როდესაც მოხუცმა ის სახლში არ შეუშვა კარი შეამტვრია.

– ის სახლის შერჩევაში შეცდა, – განაცხადა მერფიმ, რომელიც მიუხედავად სოლიდური ასაკისა, ყოველდღე სპორტულ დარბაზში დადის 102 კილოგრამიან სიმძიმეებს სწევს და ბოდიბილდინგის შეჯიბრებებში საპრიზო ადგილებს იკავებს.

მოხუცმა ქალმა ხელი მაგიდას დასტაცა და ის ბოროტმოქმედს დასცხო.

– მაგიდა დაიმსხვრა, – იხსენებს მოხუცი ქალბატონი, – ის კი ძირს დაეცა და მე ზევიდან დავახტი.

ამის შემდეგ მერფიმ ბოროტმოქმედს თავზე შამპანურის ბოთლი დააცალა, მერე კი ჯაგრისს დაავლო ხელი. მოხუცის და ბოროტმოქმედის ჩხუბი პოლიციელებმა შეწყვიტეს, რომლებიც შემთხვევის ადგილზე გამოძახებით მივიდნენ, რომლის გაკეთებაც ქალმა მისი სახლის კარის შემტვრევამდე მოასწრო. სამართალდამცავებმა მისი საქციელი მოიწონეს, მასთან ერთად სურათები გადაიღეს, ბოროტმოქმედი კი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ვენეციაში ტურისტი სელფის გადაღების დროს კინაღამ წყალში დაიხრჩო

ვენეციის რეკორდული წყალდიდობის დროს ტურისტმა სელფის გადაღება გადაწყვიტა და დახრჩობას გადაურჩა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ტვიტერში იქნა გამოქვეყნებული.

კადრებში ჩანს, თუ როგორ მიაბიჯებს ქალაქის დატბორილ ქუჩაში თავზე სანტა-კლაუსის ქუდით მამაკაცი, შემდეგ, როგორც ჩანს, არხისკენ მიდის და რამდენიმე წამში, არხის პირთან მისვლის შემდეგ, წყალში თავით ვარდება და იძირება. სოციალური ქსელის მომხმარებლებმა გამოქვეყნებულიო ვიდეო საკუთარ კომენტარებში შეაფასეს.

– ვენეციაში ყოფნისას, მყვინთავივით უნდა იყოთ გამოწყობილი, – დაწერა კომენტარში ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა.

– მიუხედავად იმისა, რომ ის დახრჩობის რისკის ქვეშაა, მაინც საკუთარი გაჯეტის გადარჩენას ცდილობს, – შენიშნა მეორემ.

– ძალიან მაინტერესებს, ის რა ფიქრობდა, რომ იმ ადგილზე ხიდი უბრალოდ დეკორაციას წარმოადგენდა? – დაწერა მესამემ.

– იმედი მაქვს, ისეთი სურათი გადაიღო, როგორიც სურდა, – აღნიშნა მეოთხემ.

ნახევრად შიშველი ოფიციანტებით პოლიცია დაინტერესდა



ტაილანდის ქალაქ ბანგკოკში ოთხი ოფიციანტი წესიერების კანონის დარღვევისთვის დააჯარიმეს.

ერთდღიანი სარეკლამო აქციის ფარგლებში, რომელიც ქალაქის ერთ-ერთმა რესტორანმა გამართა, მომხმარებლებს ოთხი 24-დან 34 წლამდე ქალი ემსახურებოდა, რომელთაც მხოლოდ ბიკინის ტრუსიკები ეცვათ და შიშველ სხეულზე წინსაფრები ეკეთათ. თითოეულმა მათგანმა ამ სამუშაოს შესრულებისთვის 10 ათასი ბატი მიიღო.

ერთ-ერთმა მომხმარებელმა ოფიციანტები ვიდეოზე გადაიღო და ორი დღის შემდეგ კადრები ინტერნეტში გამოაქვეყნა. ვიდეომ დიდი პოპულარობა მოიპოვა და კონსერვატიულად განწყობილი მოქალაქეების ყურადღება მიიპყრო. მათ კი, თავის მხრივ, სამართალდამცავებს მიმართეს საჩივრით. ამის შემდეგ პოლიციის პოლკოვნიკმა ალონგკორნ სირისონგკრამმა გააკეთა განცხადება, რომელშიც შიშველ სხეულზე ჩაცმულ წინსაფარს საზოგადოებრივი ადგილისთვის სრულიად შეუფერებელი სამოსი უწოდა.

ოთხივე ოფიციანტი ქალი და დაწესებულების მფლობელი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას წესიერების დარღვევაში დაადანაშაულეს და ორი ათასი ბატით დააჯარიმეს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

შერმადინი ესპანეთში საუკეთესოა

ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში მე-10 მატჩი მოიგო გოგა ბითაძის ინდიანა პეისერსმა. ინდიანა-პოლისში მემფის გრიზლისი ჩავიდა და ქულაუსვი მატჩიც გაჩაღდა – საფინალო სირენამ 126:114 დააფიქსირა პეისერსის სასარგებლოდ.

ქართველმა წინახაზელმა მოედანზე 7 წუთი გაატარა, თუმცა უქმად არ ყოფილა: 3-დან 1 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო და 4 ქულას თითო მოხსნა-დაფარება წაუმატა.

თავისი მრავალმხრივობა გამოავლინა არვიდას საბონისის ინდიანელმა ვაჟმა დომანტასმა: 13 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი. საუკეთესო იყო გოგას თანაგუნდელი ტი ჯეი უორენი – 26 ქულა. მემფისში კი ორმაგი დუბლი ლიტველმა იონას ვალანჩუნასმა შეასრულა (14 ქულა, 11 მოხსნა).

ინდიანა პეისერსს 10 მოგება და 6 წაგება აქვს და აღმოსავლეთის კონფერენციაში მეექვსეა. მომდევნო მატჩს ასევე შინ, იუტა ჯაზთან გამართავს.

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის მე-10 ტურის საუკეთესო მოთამაშედ გიორგი შერმადინი დასახელდა. ტენერიფე იბეროსტარის ქართველმა ცენტრმა რეალ ბეტისის წინააღმდეგ ზეშედეგიანად ითამაშა, მისი მონაგარი კი მე-10 ტურის მატჩებში ვერავინ გადაფარა და შერმადინიც დამსახურებულად გახდა მვპ.

ქართველი ცენტრის ლიდერობით ტენერიფემ ბეტისი დაძაბულ ბრძოლაში – 94:89 დაამარცხა. კუნძულელებმა დამაჯერებლად ჩატარებული დასკვნითი მეოთხედის (37:23) ხარჯზე დაამარცხეს მეტოქე. ქართველმა ცენტრმა კი 32 წუთში 24 ქულა, 11 მოხსნა (3 შეტევაში), 2 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. გიორგიმ 11-დან 6 ორქულიანი და 15-დან 12 საჯარიმო ჩააგდო. შედეგად, ქართველი ლეგიონერის სარგებლიანობის კოეფიციენტი 35-ს გაუტოლდა, რაც ტურში ვერავინ გადაფარა.

ტენერიფეს 10 ტურში 6 მოგება მოუგროვდა და სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილზე გადაინაცვლა, მომდევნო მატჩს კი სტუმრად, ბარსელონასთან ჩაატარებს.

თორნიკე შენგელიას ბასკონიამ ვალენსიას 85:74 სძლია, ქართველი ლეგიონერი კი ტრადიციულად სარგებლიანად გაისარჯა. შეხვედრაში გადამწყვეტი მე-3 მეოთხედი გამოდგა, რომელიც მასპინძლებმა 33:20 მოიგეს.

ქართველი ფორვარდი ბასკონიელთა გუნდის სასტარტო ხუთეულში იყო და 33 წუთში 10 ქულა, 6 მოხსნა (3 შეტევაში), 3 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. შენგელიამ 7-დან 2 ორქულიანი და 4-დან 2 სამქულიანი ჩააგდო.

ბასკონიას 5-5 მოგება-წაგება მოუგროვდა და სატურნირო ცხრილში მე-8 ადგილზე გადაინაცვლა, მომდევნო მატჩს კი სტუმრად ანდორასთან ჩაატარებს.

მორიგი მატჩი გამართა ბექა ბურჯანაძის გრან კანარიამ, რომელიც რეალს ესტუმრა და 76:92 დამარცხდა. ქართველმა კალათბურთელმა პარკეტზე 15 წუთზე მეტი გაატარა და 2 ქულა მოიპოვა. ბექამ 1-დან 1 ორქულიანი ჩააგდო. გრან კანარიას ამ წუთისთვის 10 ქულა აქვს და მე-11 ადგილზეა.

დუდა სანაძის ზეშედეგიანად ითამაშა პორტუგალიაში. ოლივეირენშეს ქართველმა ლეგიონერმა სეზონის საუკეთესო მატჩი მადეირასთან ჩაატარა. ოლივეირენშელებმა მეტოქეს 97:83 მოუგეს, სანაძე კი 29 ქულით მატჩის ბომბარდირი გახდა.

დუდა ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 27 წუთი გაატარა და ამ დროში სანაძემ 29 ქულა, 6 შედეგიანი გადაცემა, 2 მოხსნა და 1 ჩაჭრა დააგროვა. დუდამ 9-დან 5 ორქულიანი, 9-დან 3 სამიანი და 11-დან 10 საჯარიმო ჩააგდო.

7 მოგებითა და 1 მარცხით სანაძის გუნდი სპორტინგთან 2-3 ადგილებს იყოფს. შემდეგ ტურში ოლივეირენშე პირველ ადგილზე 8 მოგებით მყოფ პორტოს დაუპირისპირდება.

ამერიკის სტუდენტურ ლიგაში

მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს სანდრო მამუკელაშვილის სეტონ ჰოლმა და გიორგი ბეჟანიშვილის ილინოისმა. ორივე გუნდი მოწინავე დონის კონფერენციებში ასპარეზობენ.

მამუკელაშვილის გუნდმა ფლორიდის რათლერსი 87:51 გაანადგურა. ქართველმა ფორვარდმა სასტარტო ხუთეულში მხოლოდ 13 წუთი ითამაშა და ეს გახლდათ მისი ყველაზე უხეირო მატჩი მიმდინარე სეზონში. სანდრომ 2 ქულა და 1 მოხსნა მიითვალა, 6 ცდიდან მხოლოდ 1 სროლა ჩააგდო.

სეტონ ჰოლი 4 მოგებითა და 1 მარცხით კონფერენციაში მე-5-6 ადგილებს ვილანოვასთან იყოფს.

ბეჟანიშვილის ილინოისმა კი კიდევ უფრო იოლი გამარჯვება მოიპოვა, რომელმაც ჰემპტონი 120:71 გაანადგურა. ბეჟანიშვილმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე გატარებულ 24 წუთში 14 ქულა, 5 მოხსნა, 4 პასი და 1 დაფარება მიითვალა. გიორგიმ 3-დან 2 ორქულიანი, 1-დან 1 სამიანი და 8-დან 7 საჯარიმო ჩააგდო.

ილინოისელებს 5 მოგების წილ მხოლოდ 1 მარცხი აქვთ და კონფერენციაში მე-6 ადგილი უკავიათ. მის წინ დაუმარცხებელი 5 გუნდია.

პაპუნაშვილს ამერიკაში იწვევენ

გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა გიორგი პაპუნაშვილმა შესაძლოა კარიერა მლს-ში გააგრძელოს. 24 წლის ქართველის გადაბირება ნიუ იორკ სიტის სურს.

ამერიკული კლუბი პაპუნაშვილის ტრანსფერით ძალიან არის დაინტერესებული. თავის მხრივ, ჩვენებურისთვის ახალი გუნდის მოძებნას მისი ამჟამინდელი კლუბი, სარაგოსაც ფიქრობს – „თეთრებს“ სახელფასო ფონდის გამოთავისუფლება და ზამთრის სატრანსფერო პერიოდში 9-იანის დამატება უნდათ. სარაგოსას სასურველი კანდიდატიც შერჩეული ჰყავს და დარიო პოვედას უმიზნებს.

ამერიკული გუნდის ინტერესის შესახებ სარაგოსაში ყველაფერი იციან, თუმცა კლუბებს შორის მოლაპარაკებები ჯერ არ დაწყებულა. ნიუ იორკ სიტი ახალი მთავარი მწვრთნელის შერჩევას ელოდება და გადაწყვეტილებას სწორედ ამ პროცესის დასრულების შემდეგ მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ პაპუნაშვილი სარაგოსაში 2017 წელს გადავიდა. პირველი სეზონი მან კარგად ჩაატარა და კლუბმა კონტრაქტი 2022 წლამდე გაუხანგრძლივა, თუმცა მე-2 სეზონის დიდი ნაწილი ტრავმის გამო გაუცდა.

ფეხბურთი

25 ნოემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიგა

ასტონ ვილა-ნიუკასლი 2:0

სატუნინო ცხრილი:

1.ლივერპული	13	12	1	0	30-11	37
2.ლესტერი	13	9	2	2	31-8	29
3.სიტი	13	9	1	3	37-14	28
4.ჩელსი	13	8	2	3	28-19	26
5.ვულვზი	13	4	7	2	18-16	19
6.შეფილდი	13	4	6	3	16-12	18
7.ბარნლი	13	5	3	5	20-18	18
8.არსენალი	13	4	6	3	18-19	18
9.მანჩესტერი	13	4	5	4	18-15	17
10.ტოტენჰემი	13	4	5	4	21-19	17
11.ბორნმუთი	13	4	4	5	16-17	16
12.ბრაიტონი	13	4	3	6	15-19	15
13.კრ.პალასი	13	4	3	6	11-18	15
14.ნიუკასლი	13	4	3	6	11-20	15
15.ასტონ ვილა	13	4	2	7	19-20	14
16.ევერტონი	13	4	2	7	13-20	14
17.ვესტ ჰემი	13	3	4	6	16-23	13
18.ნორვიჩი	13	3	1	9	13-28	10
19.საუთჰემპტონი	13	2	3	8	13-31	9
20.უოტფორდი	13	1	5	7	8-26	8

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰანოვერი-დარმშტადი 1:2

იტალია. სერია ა

ლეჩე-კალიარი 2:2

სპალი-ჯენოა 1:1

სატუნინო ცხრილი:

1.იუვენტუსი	13	11	2	0	23-10	35
2.ინტერი	13	11	1	1	29-12	34
3.ლაციო	13	8	3	2	30-14	27
4.კალიარი	13	7	4	2	25-14	25
5.რომა	13	7	4	2	23-14	25
6.ატალანტა	13	6	4	3	31-21	22
7.ნაპოლი	13	5	5	3	22-16	20
8.პარმა	13	5	3	5	20-17	18
9.ვერონა	13	5	3	5	11-11	18
10.ფიორენტინა	13	4	4	5	18-20	16
11.ტორინო	13	4	2	7	15-20	14
12.მილანი	13	4	2	7	12-17	14
13.უდინეზე	13	4	2	7	9-20	14
14.სასუოლო	12	4	1	7	22-23	13
15.ბოლონია	13	3	4	6	18-22	13
16.სამპდორია	13	3	3	7	9-20	12
17.ლეჩე	13	2	5	6	17-27	11
18.ჯენოა	13	2	4	7	15-27	10
19.სპალი	13	2	3	8	8-19	9
20.ბრეშა	12	2	1	9	10-23	7

იტალია. სერია ბ

კიევო-ვირტუსი 2:1

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლე ავრი-გენგამი 4:0

თურქეთი. სუპერლიგა

ანთალია-გაზიანეთები 1:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

სლოვაცკო-იაბლონეცი 1:1

პოლონეთი. ექსტრაკლასა

კრაკოვია-ზაგლებია 2:0

დანია. სუპერლიგა

ოდენსე-მიდტიულანდი 1:2

რუსეთი შეიძლება ევრო 2020-დან მოკვეთონ

2020 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ახლახან დასრულდა და 20 გუნდის ვინაობა გაირკვა. თუმცა, დიდი შანსია, რუსეთის ნაკრები მომავალი ევროპრველობიდან მოკვეთონ. და არამარტო საფეხბურთო ნაკრები – მსოფლიო ანტისადოპინგო სააგენტოში (ვადა) ფიქრობენ, რომ რუსეთი საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებს 4 წლით ჩამოაშორონ.

ვადა მოსკოვის ანტისადოპინგო ლაბორატორიაში არსებულ დარღვევებს უკვე ოფიციალურად ადასტურებს. კერძოდ, რამდენიმე დოპინგტესტი, რომელთა პასუხიც დადებითი გახლდათ, ლაბორატორიის მონაცემთა ბაზიდან „წაიშალა“. ეს საკითხი 9 დეკემბერს ვადას აღმასკომზე იქნება განხილული და საბოლოო გადაწყვეტილებაც მაშინ იქნება მიღებული.

თუ საკითხი ასე გადაწყდა, გამოდის, რომ რუსეთი ევროპის 2020 წლის საფეხბურთო ჩემპიონატიდანაც უნდა მოიკვეთოს. ერთია, ვადასგან განსხვავებით, უეფა თავს იკავებს განცხადებების გაკეთებისგან.

და მაინც, ევრო 2020-თან დაკავშირებით რუსეთის საქმე რთულადაა. საქმე ისაა, რომ ტურნირის ერთ-ერთი მასპინძელი რუსეთიცაა, კერძოდ კი, ქალაქი სანკტ-პეტერბურგი. ვადას განცხადების შემდეგ, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა არა მხოლოდ რუსეთის ნაკრების მონაწილეობა ევროპის ჩემპიონატზე, არამედ სანკტ-პეტერბურგის მასპინძლობაც.

საბოლოო გადაწყვეტილება 9 დეკემბერს უნდა გახდეს ცნობილი. თუკი სასჯელი ძალაში შევა, რუსებს მომავალი 4 წლის განმავლობაში, საერთაშორისო ტურნირებზე, მათ შორის ოლიმპიადაზე გამოსვლა ისევ შეზღუდული რაოდენობით მოუწევთ, თანაც ნეიტრალური დროშის ქვეშ და ეროვნული ჰიმნის გარეშე.

რუსეთის საფეხბურთო ნაკრები ვეღარ მიიღებს მონაწილეობას ყატარში დაგეგმილ 2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც. 2021 წელს სანკტ-

პეტერბურგში დაგეგმილი ჩემპიონთა ლიგის ფინალიც კითხვის ნიშნის ქვეშაა. რუსები ვეღარ იხილავენ ფრენბურთისა და ჰოკეის მსოფლიოს ჩემპიონატებსაც, რომლებიც, წესით, 2022 და 2023 წლებში უნდა ჩატარებულიყო.

ბრიტანული ტელეგრაფი კი უფრო შორს წავიდა და წერს, რომ რუსეთის ნაკრების ევრო 2020-დან მოკვეთის შემთხვევაში ტურნირზე მის ადგილს შოტლანდია დაიკავებს.

რუსეთის ნაკრებმა ევროშესარჩევი ტურნირის ჯგუფში მე-2 ადგილი დაიკავა, ხოლო შოტლანდიამ – მე-3.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

ლონდა დარსანია-წოწონავას გახსენება

ჩვენო საყვარელო ლონდა, უკვე სამი წელია ვართ უშენოდ. შენი მოულოდნელი წასვლა ამ ქვეყნიდან უზარმაზარ ტრაგედიად რჩება დღემდე და დასასრული არ აქვს. გაუსაძლის უშენობას დაემატა ყოველდღიური ახალ-ახალი წარმოუდგენელი სირთულეები, რომელთა არსებობაც არ ვიცოდით, სანამ ჩვენ ერთად ვიყავით. ძალზე ძნელი მოსაგონებელია ის გულთბილი ურთიერთობის კლიმატი, რომელსაც შენ ქმნიდი შეუმჩნევლად და სითბოს უნაწილებდი ყველას. ყველა ახლობელი ჩვენს გარემოცვაში რეალურად გრძნობდა ამ სიკეთის ჭეშმარიტებას. შენ, ფიზიკურ და სულიერ სილამაზესთან ერთად, იყავი საქმიანი, სამართლიანი, ქვეყნის პატრიოტი, მოუსვენარი, ყველა დაჩაგრულის მედგარი დამცველი და მზრუნველი. ურყევი სიყვარული იყო შენი ცხოვრების წესი.

გვიჭირს უშენობა... შენ შეგეძლო ერთი გამოხედვით გაგეთბო სიცივე ურთიერთობებში, შეგევსო ვაკუუმი, რომელსაც ჩვენ ახლა ხშირად ვაწყდებით.

ჩვენი თანაცხოვრების 46 წელი, გამშვენიერებული სიყვარულითა და მზრუნველობით, თითქოს ერთი გათენება და დაღამება იყო.

შენ შეგეძლო სიყვარულისა და თანაგრძნობის საოცარი გამოხატვა. შენი ენერგია და ძალა გადამდები იყო ყველასთვის.

გაუნელებელ ტკივილს გვიმატებს ისიც, რომ შენი უეცარი წასვლით ამ ქვეყნიდან ვერ შევძელით უფრო მეტად გვეზრუნა, მოგფერებოდით, როგორც ამას იმსახურებდი საყვარელი მეუღლე, დედა, ბებია და ახლობელი.

დიდი სიყვარულით, ოჯახი და ახლობლები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ძველებური ქართული საბრძოლო ბასრწვერიანი სატყორცნი იარაღი; 2. შვეიცარიაში მოთამაშე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი; 3. ძველი ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში-შეჯიბრი; 4. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო; 5. რაიმე საქმეში უაღრესად დახელოვნებული ადამიანი; 8. ბიბლიის ნაწილი; 12. გემის მზარეული; 13. ინდური ეპიკური პოემა; 14. სატანვარჯიშო იარაღი; 16. სურნელოვანი პარფიუმერიული სითხე; 18. წვრილმანებით ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 20. ღვინის პატარა ქვევრი.

თარაზულად: 6. პოპულარული უკრაინული მინერალური წყალი; 7. მითოლოგიური „მარადიული ურია“; 8. ეგვიპტის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ფეხბურთელი; 9. კუბის ფორმის წმინდა მეჩეთი მექაში; 10. ხევსურული ტანსაცმელი; 11. კარდინალთა საბჭო, რომელიც რომის პაპს ირჩევს; 15. იტალიელი პოლიციელი; 17. იაპონელთა ნაციონალური ტანსაცმელი; 19. კურორტი, ნავსადგური, რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 21. ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 22. იაპონური რესტორანი; 23. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მიერ გამოყოფილი ნივთიერება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სუარესი; 2. ხამურაბი; 3. ქემელი; 4. ფონდი; 5. უილიამსი; 8. კორონერი; 12. დეგა; 13. ციცერონი; 14. ბინოში; 16. ბაჯაღლო; 18. ლობიო; 20. ლოქო.

თარაზულად: 6. კურიერი; 7. ევერტონი; 8. კაბუკი; 9. ბერიო; 10. კაპუცინი; 11. გარდნერი; 15. ჰიპერტონია; 17. ჩაქურა; 19. შოტლანდია; 21. კოლუმბი; 22. მიკოლოგია; 23. ტორნადო.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. იჩქერია; 2. ჩინური; 3. ინტელექტი; 4. ბრინზა; 5. ზელენსკი; 7. ეირე; 11. სონღული; 13. თიბათვე; 15. პლაცი; 16. შელფი; 18. წრუტო; 19. როდეო.

თარაზულად: 6. ჩიზელი; 8. ჰიგინსი; 9. ენისელი; 10. რევერსი; 12. ნიცშე; 14. რამოსი; 17. ტაბაწყური; 20. მაუზერი; 21. უცნობი; 22. ტუბერი; 23. ნიკოლაძე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

27 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9712

ევრო — 3.2737

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8192

100 რუსული რუბლი — 4.6556

ამინდის პროგნოზი 27 ნოემბერი

26 ნოემბრიდან

იაკობ გოგებაშვილი

საგანძური

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

რონალდუს მეგობარმა გოგონამ გაიხადა



ესპანელმა მოდელმა და ტურინის „იუვენტუსის“ პორტუგალიელი თავდამსხმელის კრისტიანუ რონალდუს საცოლემ ჯორჯინა როდრიგესმა სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე თავისი ეროტიკული ფოტოსურათი გამოაქვეყნა.

ფოტოსურათზე როდრიგესი წელს ზევით შიშველი ფოტოგრაფისკენ ზურგით მყოფი პოზირებს. მოდელი იატაკზე მუხლებზე ზის, აცვია ნაცრისფერი შემოტკეცილი შარვალი და თავზე შანელის პირსახოცი აქვს შემოხვეული, მკერდზე ხელები აქვს აფარებული. ფოტოსურათმა სოციალურ ქსელებში 1,4 მილიონი მოწონება მიიღო.

სოციალური ქსელის მომხმარებლების უმრავლესობა როდრიგესის გარეგნობით აღფრთოვანებული დარჩა.

– სწორედ ამიტომაც აგირჩია რონალდუმ, – დაწერა ერთ-ერთმა მათგანმა, თუმცა, ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომლებმაც ესპანელი მოდელი მისი პოზის გამო გააკრიტიკეს.

– არა მგონია, რომ ასე უნდა ამზეურებდეთ საკუთარ უკანალს. თქვენ უფრო მეტად ელეგანტური ხართ, როდესაც ნორმალურად პოზირებთ. ეს არ გჭირდებათ, – დაწერა მეორე ინტერნეტმომხმარებელმა.

მეუღლის საჩუქარმა ქალს სიმდიდრე მოუტანა

ამერიკის მერილენდის შტატის მონტგომერის ოლქის მკვიდრმა ცოლს აჩუქა ლატარიის ბილეთი, რომელიც მომგებიანი აღმოჩნდა.

75 წლის მამაკაცმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, აღნიშნა, რომ მისი მეუღლე დროებით სახლიდან გამოსვლას ვერ ახერხებს. ამიტომ მის გასამხიარულებლად გადაწყვიტა, მომენტალური ლატარიის ბილეთები ეჩუქებინა. ქალმა მაშინვე შეამოწმა გათამაშების შედეგები.

შედეგად ერთ-ერთმა ბილეთმა, რომელიც მის ქმარს 20 დოლარი დაუჯდა, 50 ათასი დოლარის მოგება მოუტანა.

– ასეთ რამეს ნამდვილად არ ველოდით, – აღიარა მამაკაცმა. მისივე თქმით, მოგებული ფულის ნაწილი ვალების დაფარვას მოხმარდება, ხოლო დარჩენილ თანხას სამომავლოდ გადადებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

27 ნოემბრისათვის

ვერძი – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** – ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** – ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, შემოქმედი ადამიანებისათვის. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – ზედმეტი თავდაჯერებულობაც და გაუბედაობაც დაგაზარალებთ. ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** – კრიტიკული დღეა. განერვიულებული და გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **თევზები** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

შვილი მამას ეკითხება:
– მამიკო, ბოლოს და ბოლოს, როდის შემეძლება, სახლში იმ დროს დავბრუნდე, როდესაც თავად მომესურვება?
– არ ვიცი, შვილო, მაგ ასაკამდე ჯერ არ მიმიღწევია.

●●●

გვიან ღამით სახლში დაბრუნებულ ქმარს ცოლი ტაფით ხელში დახვდა და ეკითხება:
– სად დაეთრეოდი, შე საქონელო?
– ძვირფასო, სასაფლაოზე ვიყავი.
– და ვინ მოკვდა?
– არ დაიჯერებ და იქ ყველა მკვდარია!

●●●

ქალი კაცს ეუბნება:
– საყვარელო, სექსი მხოლოდ ქორწილის შემდეგ გვექნება!
– რა პრობლემაა, რომ გათხოვდები, დამირეკე!

●●●

ექიმი პაციენტს ეუბნება:
– თქვენ წნევა 180/100-ზე გაქვთ. სასწრაფოდ უარი უნდა თქვათ ყავასა და კონიაკზე!
– გავიგე, ექიმო, ე.ი. მხოლოდ ჩაი და არაყი...

●●●

პატარა ბიჭი გამყიდველს ეუბნება:
– დეიდა, გუშინ თქვენ ხურდა არასწორად მომეცით.
– მერე, გუშინ რატომ არ მოხვედი? დღეს უკვე დაგვიანებულია.
– კარგი, მაშინ ათი ლარი მე დამრჩება.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– მართალია, რომ გუშინ თეატრში ყოფილხარ?
– ჰო, ვიყავი.
– მერე, რა მოგეწონა?
– სპექტაკლის შემდეგ პალტოებს არიგებდნენ და სამი წამოვიღე!

●●●

ცოლი ჟურნალს კითხულობს და ქმარს ეუბნება:
– აქ წერენ, რომ ყველა მღრღნელი სულელი და ღორმუცელაა.
– მართალია, ჩემო თაგუნია...

მესიმ ნეიმარს მისწერა: „მინდა, ბარსელონაში დაბრუნდე“

ფრანგი ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა იმ მესიჯის შინაარსი, რომელიც ზაფხულში მესიმ ნეიმარს ვოთსაფის საშუალებით მისწერა.

მესიჯში შემდეგ რამეს ვკითხულობთ: „მინდა, ბარსელონაში დაბრუნდე. ჩვენ მხოლოდ ერთად შეგვიძლია ჩემპიონთა ლიგის მოგება. ორ წელიწადში მე წავალ, შენ ჩემს ადგილს დაიკავებ და ბარსელონის ლიდერი გახდები“.

ნეიმარი არ მალავს, რომ ბარსელონაში დაბრუნება სურდა, მაგრამ ზაფხულში ეს ტრანსფერი არ შედგა, რადგან პსჟ-მ ზედმეტად დიდი თანხა მოითხოვა.

მომავალ ზაფხულს, სავარაუდოდ, ბარსელონა ისევ ეცდება ნეიმარის ყიდვას.

მოურინიო ზლატანის ტოტენჰემში გადაყვანას არ აპირებს

ტოტენჰემის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ ტრანსფერებზე ისაუბრა და თქვა, რომ აუცილებლად განახორციელებს ტრანსფერებს, უბრალოდ, ჯერ არ იცის იმ ფეხბურთელების ვინაობა, რომელთა გადმობირებასაც შეეცდება.

ჟოზემ ასევე აღნიშნა, რომ ზლატან იბრაჰიმოვიჩი ტოტენჰემში არ გადავა.

– ზლატანთან ერთად მანჩესტერ იუნაიტედში მუშაობა სასიამოვნო იყო, მაგრამ, დამიჯერეთ, ტოტენჰემში ის არ გადმოვა, რადგან სხვა გეგმები მაქვს. ტოტენჰემში ტიტულების მოსაგებად მოვედი და მინდა, გულშემატკივარს ბევრი სიხარული მოვუტანო.

კრისტიან ერიქსენი რეალში გადასვლასთან ახლოს არის

ტოტენჰემის დანიელი ნახევარმცველი კრისტიან ერიქსენი რეალში გადასვლასთან ახლოს არის და, შესაძლოა, ეს ტრანსფერი ზამთარში განხორციელდეს.

ერიქსენს კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება და ის ახალი ხელშეკრულების დადებას არ აპირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდიდან წასვლა სურს.

რეალი მზად არის, ამ ტრანსფერში 50 მილიონი გადაიხადოს, მაგრამ ტოტენჰემს ეს თანხა არ აკმაყოფილებს, თუმცა, შესაძლოა, ისინი დათანხმდნენ, რადგან ზაფხულში ერიქსენი თავისუფალი აგენტის სტატუსით წავა, თუ ზამთარში არ გაყიდეს.

უსმან დემბელე: „ბორუსიასთან მატჩი ძალიან მნიშვნელოვანია“

ბარსელონის ფრანგმა ფორვარდმა უსმან დემბელემ თავისი ყოფილი გუნდის, დორტმუნდის ბორუსიის, წინააღმდეგ შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს მატჩი ბარსელონამ აუცილებლად უნდა მოიგოს.

– ბორუსია ძლიერი გუნდია, რომელსაც ყველა ხაზში ძლიერი მოთამაშეები ჰყავს, მაგრამ ჩვენ ბარსელონა ვართ და მოედანზე ჩვენი ძალა უნდა ვაჩვენოთ. იოლი სატურნირო მდგომარეობა არ გვაქვს, ამიტომ აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

შეხვედრა 27 ნოემბერს გაიმართება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

„ცეკვავენ ვარსკვლავებს“ პაატა თედიაშვილი გამოეთიშა

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მესამე საკონკურსო ტური მსოფლიო კინოშედევრებს მიეძღვნა.

ჟიურიმ ხოაკინ კორტესის, ირაკლი მაქაცარიასა და სოფო შევარდნაძის შემადგენლობით მონაწილეებისთვის კომპლიმენტები არ დაიშურა და თავისი დამოკიდებულება ქულების დაწერისასაც გამოხატა.

კინოტური წარუმატებელი გამოდგა მომღერალ პაატა თედიაშვილისთვის. მან თავის მეწყვილე თიკო ჩიტიძესთან ერთად გააცოცხლა პერსონაჟები ცნობილი ფილმიდან „სათამაშო“ და ევროპული ტანგო იცეკვა.

შოუს დასასრულს კონკურსის დატოვების კანდიდატებად წამყვანებმა პაატა თედიაშვილი და მალხაზ გარსევანიშვილი დაასახელეს.

ერთწუთიანი ხმის მიცემის დასრულების შემდეგ კი პროექტი პაატა თედიაშვილმა და თიკო ჩიტიძემ დატოვეს, მალხაზ გარსევანიშვილი და ირა კვიტინსკაია კი მაყურებლისა და ჟიურისთვის შემდეგ ტურშიც იცეკვებენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 2. ქალაქი საფრანგეთში, სადაც განთავსებულია კოსმოსური კვლევის ეროვნული ცენტრი; 3. უძველესი ქართული ხალხური თეატრალური თამაში-სანახაობა; 5. ესპანეთში მოთამაშე საქართველოს ნაკრების კალათბურთელი; 4. ფრანგი მოდელიერი ქალი; 7. ხელოვნების მუზეუმი ლოს ანჟელესში; 11. კიდულ ლიანდაგზე მოძრავი ტვირთის ასაწევი მექანიზმი; 13. ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობა; 15. შაქრიანი ცხელი ჩაით, ლიმონით შეზავებული რომი ან ვისკი; 16. ქოშის მსგავსი ძველებური ქალის ფეხსაცმელი; 18. წვრილი, უკურკო ქიშმიში; 19. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი.

თარაზულად: 6. უღრანი ტროპიკული ტყე; 8. ქართული ჩაი; 9. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 10. ჭაბურღილიდან ნავთობის, წყლის ამოსაქაჩი პნევმატიკური მოწყობილობა; 12. აშშ-ში მოთამაშე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი; 14. ქიმიური ელემენტი, ვერცხლისფერი, ძნელად დნობადი ლითონი; 17. ქაღალდის ფულის შემსწავლელი დისციპლინა; 20. თაიგულების შედგენის იაპონური ხელოვნება; 21. მაღალმთიანი სოფელი სვანეთში; 22. სამონასტრო კომპლექსი ადიგენის რაიონში; 23. „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა